

მომხედა სწორეთა! გულზე ხელი დამიკაცუნა და დააგვირგვინა: “სრულებით არა გტკივა რა!” რა ქნან საწყალმა ავათ მყოფებმა გულით ამისთანა ექიმების ხელში და როგორ ერთი ორათ არ შეიყვარონ დ.ბოკი, რომელიც ანგრე მკაცრათ ჰკიცხამს მაგის-თანა შარლატანებს: ეგევე დოკტორი ამბობს, ბუნებით ირჩინეთ თავებიო. ფრიად კარგი, მაგრამ ბუნებამ, რომ მოგარჩინოს, სხვანაირი დიეტა უნდა იქონიო. მხოლოდ ეგ მოიპოვება სწავლით და სიმდიდრით, ორთავე ეგენი შეუძლიან მდიდარს. მაშ გამრა-ვლდით მდიდრებო, და გაწყდით ღარიბებო!

22 გიორგობისთვე. შაფათი. ლოცვის შემდეგ.

ლმერთმა დასწყევლოს ცუდი იმერელის ხასიათი. ისე მოუნ-დებათ ხოლმე ერთი-ერთმანეთში ასტეხონ აყალ-მაყალი და ყოველგვარი ინტრიგები, როგორც მამკალს თიბათვეში ღვინო მოსწყურდება ხოლმე გახურებულ გულზე. საკვირველი მოუსვე-ნარი ხასიათის პატრონნი არიან და ძრიენ თავმოყვარენი. აი თუ რამდენიმე მაგალითი ჩვენი სემინარიის იმერლების ცხოვრე-ბიდან. ლიმნაზიელებს ქართული გალობის სწავლა მოენდომათ და სემინარიელებს სთხოვეს, ვინმე გამოგვიგზავნეთ გალობის სასწავლებლადო. მოუვიდათ ერთი აყალ-მაყალი ქართლელებს და იმერლებს, არა იმერელი გავგზავნოთ, არა ქართლელიო. სა-საცილოც იყო და სამწუხაროც ეს ჩხუბი. სასაცილოა ის, რომ რა აქვთ საჩხუბარი, და სამწუხარო ის რომ ორი მუჭა ხალხი ერთს ჩალხანაში ვერ მოვთავსებულვართ. ჩვენ რომ საკუთარი სახელმწიფო გვქონდეს, მაშინ ხომ ერთი-ერთმანეთს თავ პირს დაამტვრევენ. ჩვენ გაუბედურებულს ქვეყანას სწორეთ ესლა ეჭირვება. იმის მაგივრათ, რომ ერთათ შეიქუჩნენ ერთის მტრის საბრძოლველად, ერთის ერთმანეთის ჩხუბში ირთმევენ სულს. თუ ახალგაზრდები, რომლებიც უფრო ძიენ მიელტვიან ყოველ კეთილ საქმეს, ამას ვჩადივართ, ბებრები რასას ვიქთ!...

აი ის მეორე ალაგი, სადაც იმერელმა შეგირდებმა გამოიჩინეს თავიანთი სისაძაგლე. ამ ორი თვის წინეთ მე და ჩემმა ამხანაგ-მა მოვინდომეთ ჩვენს კლასში უურნალის დაარსება. უურნალი შესდგებოდა ორი ნაწილისგან: რუსული და ქართული. ჩვენის

აზრით ის გამოცემა ათასნაირ სარგებლობას მოგვიტანდა: პირველი, რუსულს უფრო კარგათ ვისწავლიდით, წერას მივეჩვევოდით ნელნელა და რა უფრო ყველა უკეთესი ლიტერატურისადმი სიყვარული და პატივისცემა ჩამოვარდებოდა ჩვენში. ვფიქრობდით, უსულო და უგულო გაკვეთილების გარდა ერთი რამ ხეირიანი საქმეც გვექნებაო. მაგრამ დაგვიშალეს ეს კეთილი და ყოვლად სასარგებლო საქმე მაგ ვაჟბატონებმა. როგორ თუ რედაკტორათ ქართველი და რუსი იქნებაო, დაიწყეს ათასნაირი ინტრიგები და საქმეს ბოლო მოუღეს. საზოგადოთ მომეტებული ნაწილი (კარგი არსად არ დაილევა!) ამპარტავნები, კაპრიზნები და თავმოყვარები არიან. თუ ვისთანმე მეგობრობა გინდა, უთოოთ სულ უნდა ელაქუცო, თავის დღეში არ უნდა ეწინააღმდეგო, თორემ შაბაშ! ისე ეენთება, როგორც პილპილი და ისე დაგკარგავს, ვითომც აქ არაფერი. რა შვილია და ან რათ მინდა ის ამხანაგი, როცა ნაკლულევანებაზე ვაჩვენო, და ის გაწყრეს!...

ეს აზრები მომივიდა გუშინდელი დროების წაკითხვის შემდეგ. მაში იყო მოყვანილი რამდენიმე ალაგი ქუთაისის კლასიკური შეგირდების უურნალისგან. სხვათა შორის ერთი ვილაც მ.მარრისა ორიოდე ხალხური ზეპირად გადმოცემანი. ერთი შეეხებოდა თამარ მეფეს. ერთს გორას ჰქვიან ქოშური. ეს იქიდან დეერქვაო, რომ ერთხელ თამარ მეფე ქალების ჯარით ამ ალაგს მოადგაო და აქ დიდი წვიმა მოუვიდათო. ქოშების ტლაპოდან ეს გორაკი გაკეთდაო. მეც ჩემის მხრით რამდენიმე ხალხური გადმოცემა თამარ მეფეზე ჩავწერე ჩემს დღიურში. ქარელის და გომის სტანციებს შუა, დოლლაურში, კალატოზიშვილების მამულში ტრიალ მინდორზე აღიმაღლებიან ორი გორაკი. ერთხელ თამარ მეფემ გადმოიარაო, ამბობს ხალხური გადმოცემა, ჯარით ამ მინდორზეო. დიდი წვიმა მოუვიდათო და რასაკვირველია ყველას ფეხებზე ტლაპო აედოთო. წვიმის გადაღების შემდეგ ჯარმა დაისვენაო იმ ალაგას, სადაც ეხლა ეგ ორი გორა არისო. ჯარმა ფეხიდან ტლაპო მოიშორაო. ისეთი ძლიერი და ურიცხვი ჯარი ყამდაო თამარ მეფესო, რომ იმათი ფეხის ტლაპოდან ორი გორაკი გაკეთდაო. მართლაც საკვირველათ არიან აყუნტულნი ეგ ტყუპი მთა მაგოდენა ტრიალ მინდორზე?...

მაგავე აზნაურებას აქვთ დიდი მამული, რომელთაც საზო-

გადოთ ჰქვიან “დედოფლის წყარო”. სიგძით ეგ მამული იქნება ათას ვერსამდე და სიგანით უფრო ბევრი. მაგოდენა უზარ მაზარ ალაგებზე ნამი წყალი არ არის, მხოლოდ ზედ შუაგულზე არის მშვენიერი წყარო, სახელად “დედოფლის წყარო”. ამბობს ხალხური ზეპირად გადმოცემა: ერთხელ თამარ მეფემ დიდალის ჯარით გადმოიარაო მაგ მინდორზე. ჯარს დაღლილობის და სიცხის გამო წყალი ძრიენ მოსწყურდაო. თამარ მეფე შეწუხდა, მაგრამ მალე მოილო ღონისძიება. უბრძანა თავის ყმებს გათხრა მიწისა და ამოიყვანეს მშვენიერი წყარო, რომელიც მშვენიერათ ამოაშენეს საჩქაროთ და ჯარმა წყალის წყურვილი მოიკლაო. მას უკან იმ წყაროს ჰქვიან “დედოფლის წყარო”. მაგ დედოფლის მინდვრის ზევით ფალავანდიშვილების და ამირაჯების მამულში არის სოფელი “თამარაშენი.” მაგაზედაც ამბობს ხალხური გადმოცემა, ვითომც თამარ მეფის სადგომი ყოფილიყვეს. ცხინვალს ზემოთ მაჩაბლების მამულში არის კიდენ სოფელი თამარაშენი, მაგაზედაც იმას ამბობენ, რასაც პირველზედ. თუ ამ ერთიბეწვა ალაგზე ამდენი გადმოცემათ თამარ მეფეზე, დიდზე უფრო ბევრი იქნება. ეს ცხადათ გვიმტკიცებს, თუ რა გავლენა ქონია თამარ მეფეს ქართულ ხალხზე და ქართულს ხალხს თავისი მხრით რა ნაირათ ყვარებია თავისი მეფე.

1880 წელსა გიორგობისთვე.

23.⁹⁷ წელს დღეს პირველათ მოვიდა კარგა ღონიერათ თოვლი. შარშან ამდროს გაჩალხური ზამთარი იყო.

26. დღეს მეორეთ მოვიდა ზორბათ თოვლი. ეტყობა, ცივი ზამთარი იქნება.

28 გიორგობის თვე. პარასკები. (თითქმის შუა მარხვა)

შეგირდის გულის ფეთქას – შეგირდივე შეიტყობს. გარწმუნებთ ყველას, ვისაც კი შეგხვდებათ ეს ნაწერი, რომ თქვენ შეგირდის ღელვას ვერ გაიგებთ: თუ გაიგებს ისევ შეგირდი, თორემ სხვა ვერავინა. რას ფიქრობს, რა აქვს იდეალათ, რას ელტვის, რა სძულს და რას ჰკიცხამს, რაც უნდა დახელოვნებულები იყვნეთ პედაგოგიაში, სრულებით ვერ იგრძნობთ. გვასწავლიან ათას რამეს, მართებლობა ფიქრობს, რომ დიდს სარგებლობას უტანენ

ესენი შეგირდებსაო. ჩვენ კი დავცინით მართებლობასაც და იმ საგნებსაც, რომლებიც არ მოგვწონან. კლასიკური ენები, რაღა თქმა უნდა, მიღებულია მთელს ევროპაში და დიდის გულმოდგინებით ასწავლიან ამ საგნებს. თქვენც შეგირდები უნდა იყვეთ, რომ იგრძნოთ, თუ რანაირათ გვძულს ეს საგნები! თუ არა და ვერ მიხვდებით, რომ შემოგჩივლოთ, ზარმაცებს დაგვიძახებთ. აი ერთი მაგალითი. გუშინ წინ პირველ გაკვეთილზე ბერძნულის მასწავლებელი არა გვყავდა, უნდა გეყურებინათ, როცა უროკი გათავდა, რა სიხარულით და აღტაცებით გვეკითხებოდნენ პირველი კლასის შეგირდები: გარტინსკი არ არისო? რა უხაროდათ ანგრე ძიებ მასწავლებლის არ ყოფნა. მაგ სიხარულს იგრძნობს მხოლოდ ის, ვინც მაგათსაებ იტანჯა!.....

1 ქრისტეშობისთვე. ორშათათი. ვუქმობთ⁹⁸.

დღეს ე.ი. გუშინ ოცდაათს წასული თვისას გაიხსნა საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა შესაწევნელად. ბევრს გაეხარდა ამ საზოგადოების გახსნა, ვითომც და ბევრს ღარიბს უშველიანო, მაგრამ მე როგორლაც ეჭვში ვარ. ბერებისაგან კეთილი არ იქნება. ტენისა არ იყვეს, მთელი ინგლისი სავსეა ყოველგვარი საზოგადოებებით ღარიბების სასარგებლოთო. ერთი რაღაც საზიზღარია ამ საზოგადოებებში. მილიონობით ტყავს აძრობენ ხალხს და კაპეიკობით მას შველიან. ეს რასა გავს? თუ ნამდვილათ ხალხი გიყვართ, ბოროტება ძირში უნდა მოისპოს. ერთს მილიონი უნდა ქონდეს შემოსავალი და მეორეს ორი გროში. ეს საზოგადოება უნდა დაეხმაროს სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა. ამისთვინაცა ვუქმობთ და ვმხიარულობთ შეგირდები. ვართ შეკრებილი ზალაში. ხან ლეკურს ვთამაშობთ და ხან ვმღერით. მე არც ერთში არ ვიღებ მონაწილეობას, მხოლოდ ჩუმად მომღერლებს და მოთამაშეებს უცქერი. ვაცქერდები და ცხადათ ვხედამ, რომ არც მომღერლები და მოთამაშეები თავისუფლები არ არიან. თითქოს ყველა ფიქრობს, ვაი თუ, ეხლა კარგათ რომ ვითამაშო, ხვალ რომ გაკვეთილი კარგათ ვერ მიუგო, მასწავლებელმა ედინიცა მამაკრას ჯიბრით. სულ სხვაა მხიარულება ამ გაუთლელი ბურსაკებისა სოფლებში და სხვა თავისუფალ ალაგებში!....

2 ქრისტეშობისთვე. სამშაფათი.

ჩვენ ჩვენი თავი ვერ გაგვიტანია, თუ ღმერთი გწამთ, სხვა როგორ გაგვიტანს? ეს აზრი მომივიდა თავში, როდესაც დღევანდელი დროების ნომერი წავიკითხე. სწორე გითხრა, გული დამეტუთქა და მწარე ბრაზებიც მომივიდა. რა უბედურობაა, ორ კაცს ვერ უცხოვრია ერთათ ძმურად! დღეს დროებაში სწერს ბ.ფურცელაძე, მიმოხილვაში მონაწილეობას აღარ მივიღებო. ანტონა და გიორგი ძმებივით იყვნენ და რამ აიძულათ, რომ ანგრე შემოსწყონენ. ჯანდაბას შემოსწყონენ, მაგითი საზოგადოებას რაღათ უკარგამენ თავიანთ შრომას! უფრო ზიზღი მომივიდა ანტონზე მიტომ, რომ ორი კვირის წინათ თავის პირით სთქვა: ‘უურნალის ვაი-ვაგლახი ისევ მე დამაწვებაო’. ამას ამბობს და მეორე დღეს საყოველთაოთ აცხადებს, აღარ მინდა შრომაო. შეიძლება კაცი ბრაზიანი და ანჩხლი იყვეს, მაგრამ არც ასე გადაჭარბებული უნდა. ეს ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც აღარა გაუკეთებია რა, მიტომ, რომ სად დასწეროსო, როცა ყველა მწერლებს შემოწყრა? ანტონი მიყვარს, როგორც ნიჭიერი კაცი და უფრო იმიტომ მომდის ბრაზი მაგითს საქციელზე, რომ ეგ არ შეჰვერის კარგს და ნიჭიერ კაცს. ქართველობა გვეტყობა!...

ქრისტეშობისთვე.

4.⁹⁹ დღეს კლასიკურ გიმნაზიაში ვიყავი და რამდენიმე ოთახი ვნახე. ჩვენ კარავთან სარაის არა გავს.

5. წუხელის მთვარის დაბნელება იყო. მშვენიერი რამ იყო! ექვსის ნახევრიდან დაიწყო მთვარის ძირიდან დაბნელება და სულ შესრულდა ექვსი, სარამ სულ გაწითლდა. ერთს საათს წითლათ იყო და ნახევარ საათს კიდენ მოუნდა მთლათ განათლებას. სინათლე დაიწყო იმავე აღმოსავლეთის ძირის კუთხიდან. სამღვრთო წერილის ბრალია, თორემ უფრო დაწვრილებით გამოვიანგარიშებდი დროს და ბევრს უყურებდი.

7.

ხახულმა ჯარი შეყარა

მეფე სოლომონს¹⁰⁰ გულისთვის
 ვისაც ღმერთი გწამთ აქ მოდით
 ძირის ბატონის გულისთვის.
 ვინაც მოვკვდებით ვცხონდებით,
 აღაპ ჩვენი ღვთის სულისთვის.
 მეფე მობრძანდა მთაშია
 ხახულს იამა თვალშია;
 ფიცხლავ ხმალს ხელი გაისვა
 შევარდა რუსის ჯარშია.
 სალდათთა თავი დასხება
 ყაზახს აცივებს ტანშია.
 ხახულს თობი დაუშინეს
 ვერ მოაწყინეს წარბშია.
 მერმე შეშებზე ააგეს
 არ ეტეოდა ტანშია.
 ერთი ბატონსა შესძახა
 მე წავხდი, მტერი წაგიხდა,
 ამ შენს ერთგულობაშია.
 ვაიმე ძმაო ხახულო
 ბიჭათ ნაქებო ჯარშია
 შენისთანას ვერ ვიშოვი
 ამ ჩემს დროსა და უამშია.
 გამარჯებულმა ციციან
 განჯას ციხე არ მინახამს
 მინდა თვალით დავინახო
 ყეენმა შემოუთვალა
 შენ ჩემთან რა ხელი გაქო.
 თუ ჩხუბი არ მოგიშლია
 ტყვია წამალი მრავალი
 ზარბაზნები მზათ მაქვსო
 მეფის რაული სიათა (თოფი)
 ჩახმახ შემართული მაქვსო.
 მოგიკვდეს შენი ციციან
 თუ ვერ წახოს განჯის ციხე
 მაგ შენი ციხის კარები

შენვე ვერ ჩაგადებინო,
 ლორის ქონით არ გაგაძლო
 რჯულიც არ გაგაგდებინო.
 მაგ შენი მაფრაშეები
 სალდათებს წავალებინო
 ტახტიდან არ გადმოგილო
 თავიც არ გაგაგდებინო.

8 ქრისტეშობისთვე. ორშაფათი. 8 საათისა.

ჩემს სახსოვარ წიგნში ჩავწერე, თუ როგორ მოხდა ექვს ამ თვისას მთვარის დაბნელება. რა დიდი გარჩევა არის განათლებულ კაცს შუა და გაუნათლებელს? მე სიხარულით უცქეროდი მის დაბნელებას, მიტომ, რომ ვიცოდი როგორ ხდებოდა. წინ მედო ნორმან ლოკიერის¹⁰¹ ასტრონომია და გამოხატულს სურათს მთვარის დაბნელებისას უცქეროდი. ახლა როგორ ეპყრობა უბრალო კაცი ამ მოვლენას? ათას უბედურებას მიაწერს მაგის დაბნელებას. მეორე დღეს რომ ურემი გაუტყდეს, მაგის ბრალიაო. აი როგორ უსწორ მასწოროთ არის განაწილებული ცოდნა? აქაც ისეთივე მონოპოლია არის, როგორც სხვა რამეში.....

გუშინწინ ოპერა «Жизнь за царя»—ში¹⁰² ვიყავი. ბევრჯელ ტან-მა დამიურიალა და ბევრმა შავმა აზრებმა გამიარეს ჩემის ქვეყნის მდგომარეობაზე!... ყველა ცდილობს თავის გვარ ტომობის აღდგენას. მაგ. თუნდ რუსეთი. ლიტერატურა დამახინჯებულ ენას ამშვენიერებს, ისტორიკოსნი ისტორიას იკვლევენ, დრამა კიდენ პატრიოტულ გრძნობას აღვიძებს ხალხში!... და სხვა....

გუშინ ცირკში¹⁰³ ვიყავი. ბევრმა გამაკვირვა და ბევრმა ზიზლი მომგვარა. ლუკმა პურის შოვნა რამდენ სისაძაგლეს არ აქმევინებს კაცს. მოთამაშეების სიცოცხლე ბეწვზე კიდია!

En effet «Дарвиновское» борьба за существование!...

ქრისტეშობისთვე.

17.¹⁰⁴ დღეს ძრიელ თბილა. ასეთს სითბოს ქრისტეშობისთვეში ჯერ არ მოვსწრებულვარ. გაზაფხულის საღამო გეგონება! ამ

მშვენიერ დღეში აუსრულდა ჩვენს იეზუიტს იოანანიკეს თავისი სურვილი. დღეს დროებაში ვკითხულობთ, რომ უწმინდესმა სი-ნოდმა მიანიჭა ნება უჩილიშჩებში ზედამხედველების ამორჩევა და დამტკიცება.

შინ მივდივარ და რო იცოდეთ რანაირათ მიხარიან! ეს ოხერი თითქოს ბავშვი ვიყვო. რაღაც მიმწემს შინისკენ.

26. დღეს ცოტათი წამოთოვლა და ქარიც ამოვარდა. ჯერ-ჯე-რობით ზამთარი ნამუსოფს.

27. ჩემ ძმა გიგოს სამი წერილი უნდა მივწერო სხვადასხვა ხელმოწერით. ერთზე ალექსანდრე, მეორეზე შაშა და მესამეზე ჩაჩულია. თუ ის შორსმხედველია, მიხვდება თუ რას ნიშნამს ეს-ები.

20. დღეს გვითხოვენ. ეს დღე ჩემთვის შესანიშნავი, სხვების-თვინ არაფერი. თავით-ფეხამდინ სულ თავისუფალი ვარ.

30. გუშინ თოვლის მაგიერ გაჩქარებული წვიმდა. ამ წვიმის თაობაზე დედა ჩემმა თქვა

ქრისტეს შობისთვის წვიმასო,
ბევრით სჯობს სისხლის წვიმაო.

დღეს კი წვიმა თოვლით შეიცვალა. გუშინ ჩვენსა ჩიტო იყო. ორი სიმხეცე სთქვა ლაპარაკში, ვითომც აქ არაფერიაო: 1, წრეულს კალიაობასო, ასი კაცი მებარაო, და რომელიც მუშა კი მომენტობოდა იმათ შევამუშავებინე ჩემი ვენახიო. ისე კი გახადეს, როგორც კოხტა პატარძალიო. 2, წრეულს, რომ დიდი სეტყვა იყოვო, უცფათ დაიძახეს, რომ თევდორიკაანთ იხრჩობიანო. ჩემი მოჯამავირეები სულ იქ გაცვინდნენ. მომაგონდა, რომ საცა ის ნიაღვარი მიდიოდა, ჩემი ორმოებიც, პურით სავსენი იქ იყვნენ; ვეცი მაშინათვე ბარს და მოვკურცხლე. მეც იქით გაუჭერ გზა და მივეც წყალი, საცა იხრჩობოდნენ. (აბა მაშ რის პომეშჩიკი ხარ, თუ ენგრე არ იქ?)

30. სამ.

დღეს დედა ჩემმა თავი არ დაიბანა. რატომ მეთქი? და აი რა მითხრა:

ოთხშაფათის ძალსაო,
ქალი იბანს თავსაო;
ან მოუკლამ ქმარსაო,

ან საყვარელ ძმასაო.

ის კი ვეღარ მითხრა, თუ საიდან შესდგა ეს ლექსი.

სონოსა და შაქროსა¹⁰⁵ დღეს ვაჩვენე შოთა რუსთაველის სუ-
რათი. სიცილით დაიხოცნენ: ეს მამამ რო გადაგლეჯილი ტყავი
მისცა მეხასლე თათარსა, იმას გავსო. მეც ძაან ვიცინე.

31. დღეს ერთ ალაგას ხალხი იდგა ჯგუფათა. იქ მისვლა მინ-
დოდა, მაგრამ ვერ გავბედე, თითქოს მეშინიან, თითქოს მრცხვე-
ნიან. ეს სწორეთ ეხლანდელი განათლების ნაყოფია. იმის მა-
გივრათ, რომ ხალხთან დაგვაახლოვოს, მას გვაშორებს. მე თუ
ასე მომდის, რომელსაც ჯერ არც დიდი განათლება მიუღია, არც
მაგათი უცხო ვინმე ვარ; მიტომ რომ მაგათში დავიბადე, მაგათ-
ში გავიზარდე, დიდ სწავლულს რაღა მოუვა? გონი ახლოც არ
მიეკაროს მაგათა.

დღიური ერთი სემინარიელისა.¹⁰⁶

1881 წელსა 15 იანვარსა.

1881 წელი იანვარი.

22¹⁰⁷. მელას რაც აგონდებოდა, ის ელანდებოდაო. სწორეთ მეც ისე მომივიდა. ამ ერთს კვირაში სულ ჩემი ძმის ფიქრში ვიყავი, ვაითუ ავათმყოფობის მიზეზის გამო მოვიდეს მეთქი, სწავლა ველარ შეასრულოს. წუხელის ვნახე საშინელი სიზმარი. ოხ, რა ძრიელ მეწყინა? დილაზე ღმერთს მადლობა შევწირე, რომ ეს ამბავი სიზმარი იყო და არა ნამდვილი. თითქოს გულიდან ქვა მომეხსნას.

9 ყ.

დღეს შევიტყე სასიამოვნო ამბავი, მაღალ მართებლობაში გადაუწყვეტიათ ჩვენთვის უნივერსიტეტებში შესვლის ნება. ვაი და ჭირი ი ტოლსტოის¹⁰⁸.

22 იანვარი. ხუთშაფათი.

ბევრჯელ მინდოდა ამის დაწერა, რასაც ეხლა დავწერ, მაგრამ ვერა ვძედავდი: მე მგონი რაღასიც მრცხვენოდა. ეხლა კი გავძედე ამის დაწერა, მინდა რომ გულზე ალარაფერი მაწვეს და ვიყო ფრინველივით თავისუფალი. არ ვიცი საიდან გაჩნდა ჩემში ეს აზრი, რომ მე დიდი კაცი ვიქნები. წიგნებიდგან მივიღე ესა, საზოგადოებისგან, და თუ თვითონ ჩემშია, არა ვუწყი, მხოლოდ კი დარწმუნებით ვიცი რომ ჩემში ეს აზრი ყმაწილობიდგანვეა. სულ იმის მონატრული ვიყავ, რომ არაფერი ჩემის ცხოვრებიდან არ დაფარულიყო ჩემის მომავლის ბიოგრაფებისთვინ და ისეთი სახათაბალოთ არ გახდენოთ, როგორც შექსპირისა. ერთხელ მოვინდომე ავტობიოგრაფიის დაწერა, მაგრამ აღარ ავასრულე. როცა წამიკითხნია არა სრული გონიერების ბიოგრაფიები, მითიქრია, ჩემსას ენგრე სახათაბალოთ არ გაგიხდით მეთქი და გადავწყვიტე მეწერა ყველაფერი ჩემის ცხოვრებიდან. ეს ან სისულელეა ჩემის მხრით, ან გაფუჭებული ფანტაზიის საქმე, ან კიდენ საზოგადოებისა, ან კიდენ შეიძლება ეპოხისაც; შეიძლება სხვა ჩემი ტოლებიც ასრე თუ უბრალოთ სხვები ჩემსებრ ფიქრობენ თავიანთ თავებზე, ეს უთოოთ საზოგადო სენია, უბედურათ დაყენებული განათლების სისტემისა, რომელსაც ე.ი. სენს, აღმოფხვრა ეჭირვება. კაცი, რომელიც თავის თავზე ბევრს

ფიქობს, არაფრის მანქანაა; ჩხავანა კატა თავის ვერ დაიჭერს. ან კი რა მიჭირამს ხელში, რომ ასე მაღალი აზრი შევადგინე ჩემს თავზე? არაფერი. ბევრგან შემხვედრია, რომ ბოლოს დიდ კაცებს, იქვე ყმაწვილობითგანვე დაუწყიათ თვალსაჩინობა. პოეტებს თორმეტ-ცამეტი წლიდან გამოუჩენიათ თავიანთი ნიჭი; ზოგს კიდენ ძიებ ადრე დაუწყიათ საზოგადო არენაზე შრომა, ზოგს კიდენ არაჩვეულებრივი ცხოვრებით თავი გამოუჩენია, ზოგს კიდენ ჩემს ხანაში კინალამ უნივერსიტეტები არ გაუთავებიათ, მე რა ვარ? აგერ მეოცე წელში ვარ, აბა რა გავაკეთე? არ ვიცი. ჩემში დიდ ვერაფერ ლირსებას ვხედამ. არც პოეტური ნიჭი, არც დიდი ნაკითხობა. მომეტებული თავის დამცირებაც თავს არ იდებს. მე მაქვს ერთი ლირსება, რომელიც ბევრს აკლია და ურომელოთაც არც პოეტობა ვარგა და არც დიდი ნაკითხობა; მე მაქვს სურვილი სწავლისადმი და სიყვარული შრომისადმი. შრომით შეიძლება სუყველა ფრის მოპოება. პოეტურ ნიჭზე ამბობენ, ვისაც ღვთისაგან არ აქვს მიცემული ეს ნიჭი, ის ვერას გახდებაო.

პისარევი კი ამბობს: მეც იმდენი შრომა მამინდება ერთი ლექსის დაწერაშიო, რამდენიც პუშკინსო. მაინც და მაინც ვერ მივაგენ მიზეზს ჩემის საშინელის აზრებისას. როგორც ელვა უცფათ გაიელვებს და გაჰქრება ხოლმე, ისე ამ ზემოთ მოყვანილმა ფიქრებმა გამიელვეს თავში და უცფათ ჩავაბარე არხივში. მე თავის დღეში მაგათ აღარ დაუბრუნდები. ახლა ჩავწერ რასმეს რეალურს, ანუ ნამდვილს. როგორც მედლიურე, სხვის დღიურებსაც დიდის გულმოდგინებით ვკითხულობ ხოლმე. ბაირონის¹⁰⁹, გეინეს¹¹⁰ და ნემენცური სოფლის მასწავლებელთა დღიურთა ბევრჯელ მოვუყვანივარ აღტაცებაში. ი.ტურგენევსაც¹¹¹ აქვს ერთი სტატია, სახელათ “დღიური მეტი კაცისა.” დავჯექ გუშინ და გადავიკითხე ხელმეორეთ. (პირველად შვიდივე ტომები ამ ხუთის წლის წინათ წავიკითხე). ოხ, რა დიდი განსხვავებაა მაშინ-დელს და ეხლანდელს წაკითხვაში!. რამდენი ობოლი ცრემლი მე გადმომვარდნია თვალიდან! ლიზას, ასიას და ელენეს სურათები თვალიდგან არ მშორდებოდნენ. მაშინ ლიმილით და ტირილით ვკითხულობდი და ეხლა კი მწარეს სიცილით. სწორეთ გითხრათ, მე ტურგენევი შემძულდებოდა წუხელის, თუ რომ მაგისი ქმნილება არ იყვეს ბაზაროვი¹¹² და ოდინცოვა¹¹³. კაცი თავის დღეში

უაზროთ არას დასწერს. ტურგენევს რა ქონდა სახეში, როცა ხატამდა ლიზას და მეტს კაცს (ვხ დневнике лишняго человека), რის მანქანები არიან, სრულებით ვერ შევიტყვე. ლიზას მდგომარეობა: მშვენიერი კარგი ბალი, შიგ სასაუბრო, მთვარიანი ღამე და ბალები. აი ლიზა სად ატარებს დროებას. მეტი კაცი? საიდლანაც შეახვედრა ჭლერქი და შაბაშ! რისთვის მოვიდნენ ეგენი, რა გააკეთეს, ვერ შევიტყვე. ეგებ სხვა ტიპებიც ვერ გავიგე. არა. აი ვინ იყო ბაზაროვი: ეგ იყო ახალგაზრდა შრომის მოყვარე მუშაკი პრაკტიკულის მიმართულებით და განათლებით, რომელსაც შეეძლო მოეტანა სარგებლობა თავის სამშობლოსათვინ პრი ბლაგო priyatnykhъ ინტერესების განვითარების და სიყვარულით შეეძლო სული ჩატარების გაცისთვინ. ეჸ, დრო შეიცვალა!... ერთხელ ვნატრობდი ტურგენევის გმირობას და ეხლა კი ზოგნი მისნი გმირნი მძაგან...

23.¹¹⁴ არ გეგონოთ, რომ მცონარეობის მიმდევარი ვიყო, მაგრამ სად ერეკლე და სად ჩემი ყ... წუხელის სიზმარში ნამესტნიკმა ერთი ჯგუფი ასიგნაციები მომცა. მეორე ერთს ჩემ ამხანაგს ენახა იმავე ღამეს: ვითომც ნამესტნიკმა მე უნივერსიტეტში სახემწიფო სტეპენდიანტატ გავეგზავნე. Странно стечение обстоятельств!

23 იანვარი. პარასკები.

ერთხელ ჩემ ძმას დავცინოდი მაზედ, რომ იმან უალაგო ლაპარაკი იცოდა, რო ესა და ეს დავწერეო, და ჯერ კი არაფერი დაეწერა. ეს ცუდი ჩვეულება კინაღამ რომ მეც შემომეჩვია. მაგრამ მე კაცის მაგივრათ გამოველაპარაკები დღიურს. ჩემი სარკე დღიურია. პირველად როცა სემინარიაში მიმიღეს ე.ი. ორი წლის ნახევრის წინათ, მაშინათვე განვიზრახე სემინარიის ოჩერკების დაწერა, ამისთვინ ვაკვირდებოდი იქაურ ცხოვრებას და ჩემის ამხანაგების ყოფა-ქცევას. ერთხელ მომხვდა ხელში ბიბლიოტეკაში პამიალოვსკის “ბურსის ოჩერკები”¹¹⁵ და აღტაცებით კითხვა დაუწყე. ვფიქრობდი, თუ მეც ამის წახედვით დავწერ ჩემს ოჩერკებს. (ქარ. არ ვიცი ეს სიტყვა). მაშინ ერთის ოჩერკის წაკითხვის მეტი ვერ მოვასწარ, მაგრამ მაგანაც დიდი შთაბეჭდილება მოახ-

დინა ჩემზედ. მასუკან ვეღარსად ვიშოვნე ეგ წიგნი. გუშინწინ კი ოთხთავ ოჩერკები წავიკითხე. საუბედუროთ სულ ვერ შეუსრულებია თავისი ოჩერკები პამიალოვსკის და მიტომაც მთლათ ვერ არის აწერილი ბურსის ცხოვრება. ღმერთო, რა საშინელებასა სწერს, კაცი ვერ წარმოიდგენს! აზრათაც ვერ მოუვა ეხლა კაცს, თუ შეუძლიანთ იმ ნაირათ ცხოვრება, როგორც არის აწერილი იმ ოჩერკებში! ტყუილი იმედი მქონდა მესარგებლა იმის ოჩერკებით. რაც უნდა უბედური იყვეს ჩვენს სემინარიაში ცხოვრება, მაინც იქაურს გაშორებით სჯობიან. ერთს ალაგსაც ვერ შეედრებიან ეხლანდელი ბურსები მაშინდელებს. რა იყო მაშინდელს ბურსაში. სრულებით არ იყო სწავლა, აფუჭებდნენ ყმაწვილების ხასიათებს, ღვთისნიერი ღვდლების მაგივრათ ზრდიდნენ ქურდებს და ავაზაკებს; ვინც კი არ ეძლეოდა იმათს გავლენას, როზგებით ტვინს უთხელებდენ. ერთის სიტყვით რაც ქვეყანაზე სიბილწე მოიპოვება, პამიალოვსკის ბურსაშია. განათლებამ ჩვენი ბურსებიც შესცვალა. ბევრი გახლამთ ძრიენ ძველი, მაგრამ ეხლა სულ სხვაა. სწავლა ძრიენ უკან არ არის დაყენებული. ეხლანდელი ბურსა ზდის ატეისტებს, პატიოსან შეგირდებს, იდიოტებს, კარგ ჩინოვნიკებს და ცოტა ნაწილს ღვთის მოყვარეებს. მაგრამ დაწვრილებით შემდეგში.

24.¹¹⁶ ეხლა ასტრონომიასა ვსწავლობთ. გუშინ ერთმა სალამოზე მკითხა: “ეს რა ვარსკვლავია”. მე ვუთხარ, ვენერაა მეთქი. მეორემ ყური მოჰკრა ამ საუბარს და დაცინვით თქვა: “ვიცით, რომ ასტრონომიას სწავლობთო” და გაიარა. Вот истинная бурсацкая черта?

27 იანვარი. სამშაფათი.

დიდი ხანია მსურდა ჩვენი მასწავლებლების კოლლეკცია წარმომედგინა, მაგრამ არა ხერხდებოდა. ეხლა დროება ნებას მაძლევს და ერთ იმათგანზე ცოტას რასმეს ვიტყვი. იმედი მაქვს წლის დამდეგამდინ სულ შევასრულო. ეს ორი დღეა რაღაზე-დაც ბურსაკები აღელვებულები არიან. რომელ ჯგუფსაც უნდა მიუახლოვდე ბალკონზე, სუყველას ერთი და იგივე საგანი აქვთ

სალაპარაკო. ეს საგანი გახლამთ ქართული ენის მასწავლებელი ბ. ნ. გ. ტატიევი¹¹⁷. საქმე იმაშია, რომ მაგას დროებაში ცოტა არ იყოს მიჰკრეს, ე.ი. ჰკიცხავდნენ მაგის პედაგოგიურ მოქმედებას. ზოგი, როგორც ყველგან ხდება, ამტყუნებდა ჩვენს მასწავლებელს, ზოგი კი ამართლებდა. ქართული ენა სემენარიაში ისე ცუდათ არის დაყენებული, რომ ლაპარაკიც კი მეტია. საკვირველია ღმერთმანი, რა მომავალს გვიმზადებენ ჩვენ არ ვიცით? გვეუბნებიან ღვდლათ წადითო. თუ ჩვენგანი ვინმე ღვდლათ წავა, უსათუოთ ქართველებში. თორემ რუსეთში რა წაიყვანს. იქ თავისებიც ბევრნი არიან. მაშ თუ ასეა, რატომ ქართულს არ გვასწავლიან? სლავიანურში, ბერძნულში, ლათინურში და განსაკუთრებით მარტო რუსულში რათა გვბერამენ? აბა მითხარით რა ვიფიქრე მის მეტი, რომ რუსებს სხვა მიზანი აქვთ? პოლიტიკით შეთითხნილ პედაგოგიას, აბა რა ხეირი უნდა ჰქონდეს? რა ნაყოფს მოიტანს, თუ არ უმწიფს და მწარეს. თითქოს დაგვცინიან კიდეც ბოლო ოთხ კლასში კვირაში თითო გაკვეთილი დანიშნეს. ტატიევი კი არა, გენიოსიც რომ მოგვარონ, ერთი გაკვეთილით ვერას გახდება. ხან მაგ გაკვეთილსაც უქმე შეხვდება ხოლმე და დავრჩებით ცარიელი. ბევრი იტყვის, რომ ერთი გაკვეთილითაც კარგი მასწავლებელი ბევრს იზამსო. თუ მაგაზე მივარდება, მე უფრო ბევრსაც ვიტყვი: არამც თუ ერთი გაკვეთილით, არამედ ერთი საუბრითაც ნამდვილი განათლებული კაცი შეუცვლის აზრების მიმართულებას ახალგაზრდას. ეგ სულ სხვა იქნება.

ჩემის ნათქვამით არც იმის თქმა მინდა, ვითომც რუსული მეჯავრებოდეს, არც იმისი, რომ ტატიევი კარგი მასწავლებელი მეთქი. მაგისთანა უხეირო მასწავლებელი ძნელათლა თუ მოიპობა. შუბლი და თვალები წმინდა იდიოტური აქვს. თავში ნამცეცი ტვინი არა აქვს. არც ქართული ლაპარაკი იცის, არც რუსული. როცა ის ქართულად დაიწყებს ლაპარაკს, ტვინში ურიანტელი დამივლის ხოლმე და სახეზე მწარე დაცინვა გამომესახება ხოლმე. რომ ეს ქართულს ვერ გვასწავლის, ვსთქვათ ცხადია, მაგრამ კარგიც რომ იყვეს მაგ გაკვეთილებით ვერას მოასწრებს. მერმე ან კი ვინ დააყენებს კარგსა? მაშინვე პანჩურს უჭერენ და მაგის მაგივრად ვინმე ღ.ელიაბოვს მოათრევენ. დროების ავტორი ტყუილად ცხარობს. იმან ბოროტება საზოგადით უნდა გაჰ-

კიცხოს, თორემ არაფერი გამოვა. მე ხომ ჩემს სიცოცხლეში ტა-ტიევს არ ვაქებ, მაგრამ, მაგის გაკიცხვა დროების ავტორისაგან იმას გავს, ერთი, რომ მოინდომონ სილარიბეს მოსპობა, წაართვან მირზოევს¹¹⁸ და როტშილდს ფულები და ღარიბებს დაურიგონ!...

29.¹¹⁹ დღეს დროებაში ეწერა, რომ ობერ-პროკურორს მოლაპარაკება აქვს საბუროვთან, რომ სემინარიელებს ნება ქონდეთ უნივერსიტეტში შესვლისა. დარწმუნებული ვარ, რომ ამას მალე მოახდენენ. სემინარიაში ბევრს უხარიანთ, იმისთანებსაც, ვისაც სიზმრათაც არ მოსვლიათ უნივერსიტეტში შესვლა. მე კი გულ-გრილათ ვიღებ ამ ამბავს, მარტო ჩემთვინ, სხვებისთვინ კი რასაკვირველია კარგი. თუ შეძლება არა გაქვს, ვერსად წახვალ და რათ გინდა ცარიელი ნება?...

30 იანვარი პარასკევი. მეოთხე გაკვეთილი.

ესე ამბავი ამა დღიურში ჩაიწერა ორი დღის შემდეგ.

ჩვენს წინ ზის ბერძნულის მასწავლებელი. ყველას სახეზე რაღაც დაღვრემილობა იხატება; ყველა საშინლათ ზარის წკარუნს მოელის. ყველას სურს ჩქარა გასწიოს სტალოვიასკენ. ყველას ჭირვით სძულს მასწავლებელი, რომელსაც სწავლის მაგიერათ საშინელი სევდა და ზიზღი მოაქვს. ვინ წარმოიდგენს ჩვენს მწუხარებას; რა საშინელებაა იჯდე მესამე საათის ნახევრამდინ და უცქეროდე ამისთანა საზიზღარ ქმნილებას, როგორც ჩვენი გაბრწყინვალებული სუბიექტი. გული სულ კვნესის როდესაც ცხადათ დარწმუნებული ხარ, რომ ამათგან არაფერი ხეირი იქნება! ან რა უნდა შეიძინო ლათინურის და ბერძნულის თარგმნით, ბიბლიის ყირაზე დაყენებით! შეისმინეთ, რომ ეს სიტყვები აღმოდიან გულისა სილრმიდგან? ბევრნი იღუპებიან ამ ცუდი სისტემით. სულ ჩემი ამხანაგები თექვსმეტამდინ არიან. ვინ იცის რამდენი ამათგანი ჭკვიანი კაცი გამოვიდოდა, რომ ეს ვირული საქმე არა ქონდეთ! ჰე, სანტიმენტალურმა გრძნობებმაც თავი მომაწყინეს. ისევ სქმეს შეუდგეთ.

ეს ბოლო გაკვეთილია. მეტათ უფერულათ მიდის საქმე. დემოსთენსა¹²⁰ ვთარგმნით, თუ იცით ეს ყველაზე ძნელია. ყველას მოწყენილობა ეტყობა, თითქოს მასწავლებელიც დაღონდა, ესეც

დასძალა დემოსთენმა, ველარა გაიგო რა. მთელს გაკვეთილს ერთს წინადადებას უნდებით. თარგმნაში შეგირდიც წვალობს და მასწავლებელიც. სხვებს ყველას ეძინებათ. კაცმა იკითხოს, რაზე გვაწვალებენ! იმის მაგიერათ, რომ პროფესორთან სიხარულით ვსწავლობდეთ, ძილი და სიკვდილი გვინდა. პროფესორიც საშინელი გვყავს: გიჟი, უტვინო, გაუნათლებელი, იპოხონდრიკი, უხასიათო, გარყვნილი და სხვა?!. ვაი ჩვენ დღეს, როცა ეგ მელანქოლია დაცემული შემოვარდება ხოლმე? ნეპრავილნი ღლალოლებს და სინტაქსის ბურივით დაგვაყრის ხოლმე. Օговорка: არ ვიცი რისთვინ და ეს მხეცი მე მწყალობს.

თებერვალი

4.¹²¹ დღეს პეტერბურლის გაზეთიდან იყო გადმობეჭდილი “დროებაში”¹²², რომ ბ. ყიფშიძემ სცენაზე კარგათ ითამაშაო. მე მეგონა ავათ არის მეთქი და სცენაზედაც კი კარგად თამაშობს! სწორეთ, რომ ძრიელ გამეხარდა.

“დროებაშივე” სწერია, რომ თ. დოსტოევსკი¹²³ დიდის ამბით დაასაფლავესო.

დღეს ისეთი კარგი დარი იყო, რომ დამცხა. აბა ამისთანა ქვეყანას გავცვლი ყინულიან, ბურუსიან, ჭლექიან, წვიმიან პიტერში, რომ იქ ის არ იყვეს! ის, ის

4 თებერვალი. ოთხშაფათი.

დღევანდელ დროებაში ეწერა, რომ დოსტოევსკი დიდის ამბით დაასაფლავეს პიტერშიო. სიკვდილით კი სწორეთ ამ ორი დღის წინათ ჩააბარა სული უფალსა. მეც ორი დღის წინათ გავათავე მაგის რომანი «Преступление и Наказание». თუმც რომანებზე კაი ხანია, რაც გული ავიცრუვე, მაგრამ წავიკითხე კიდენ; ეს სულ დ.პისარევის ბრალია. საორთვეოთ¹²⁴, რომ პისარევის სტატიას მაგ რომანის გარჩევას ვკითხულობდი, მაშინ გადავწყვიტე, რომ უთოოთ მეშოვნა და წამეკითხა. საშინლათ მომენტია პისარევის სტატია, ჩემს დღეში ანგრე წიგნი არ მომწონებია; ერთის სიტყვით იმ საღამოს გიჟივით ვიყავი. ვლანძლამდი ბედს, რომ ის უდროოთ

მოჰკლა, ვლანძღამდი რუსების მართებლობას, რომ ის უდროოთ დამარხა, და ცეცხლი მეკიდებოდა, რომ დიმიტრი ვერ ხედავდა, თუ რა ნაირათ აღელვებდა ახალგაზრდას ძარღვებში სისხლს მისი სიტყვები!... აი მიზეზი, რისთვის გავბედე დოსტოევსკის რომანის წაკითხვა. რასაკვირველია, უფრო კარგი იქნებოდა ჯერ რომანი წამეკითხა, მერმე პისარევის სტატია, მაგრამ რას იქ. ჩვენისთანა ღარიბ ხალხს, ვინ მისცემს შეძლებას, რომ ამორჩევით და რომელსამე სისტემით წიგნები ვიკითხოთ. ჩვენ ამ მხრივ ძალ-ლებსა ვგევართ. დღეს აქ შეჭამს ლუკმას, ხვალ იქ. სწორეთ ჩვენც ასე ვართ. სისტემას ვინ დაგვიდევს. დღეს აქ შეგხვდა, წაიკითხე, ხვალ იქ, ისიც უნდა წაიკითხო, თორემ მერმე სადღა იშოვნი. რომანზე რაღა მეთქმის პისარევის შემდეგ? რაც დოსტოევსკის გძელათა აქვს ნათქვამი, ის პისარევს აქვს მოკლეთ. უფრო მკაცრათ და ცხადათ. ეს რომანი კი არ არის, პსიხოლოგიური მოთხოვა არის; საშინლათ აქვთ ორთავ ავტორებს დახატული სილარიბის შედეგი საცოდავ რასკოლნიკოვზე. რომანში სხვა ტიპები მაგის მეტი ძრიელ სუსტნი არიან, მაგრამ ერთი რამ შევნიშნე. დოსტოევსკის რაზუმინინი¹²⁵ ჩერნიშევსკის რახმეტოვსა¹²⁶ გავს ცოტათი. რომანში ბევრი კარგი ალაგებია, მაგ., როცა რასკოლნიკოვი გამომძიებელთან საუბრობს. დამავიწყდა: დუნიას¹²⁷ ტიპიც კარგათ არის გამოხატული. ახალი, პატიოსანი ქალია, მაგრამ ვერას¹²⁸ ჩამოუვარდება. სონასთანა¹²⁹ ტიპი ჯერ რომანებში არ მინახავს.

წუხელის ბინდზედ მე და ერთი ჩემი ამხანაგი ქუჩაში ვიცექირებოდით ფანჯრიდან. საშინელი სანახავი ვნახეთ. ერთი ღარიბი დედაკაცი ორი სამი წლის ბავშვით ეგდო და რაღაც ძონძებში დამპალ ვაშლებს, თუ კარტოფილებს ახვევდა. ბავშვი სიცივისაგან გულზე ეკვროდა, ბოლოს ადგა, წამოიკიდა ზურგზე ბავშვი, როგორც მაიმუნი, ან კენგურუ სჩადის და წავიდა. ბევრი ვილაპარაკეთ მაზედ, თუ როდის შეიცვლება ჩვენი სოციალური ცხოვრება, რომ ამისთანა საზარელი პეიზაჟები აღარ ხდებოდეს. თვალწინ წარმომიდგა ცხადათ რასკოლნიკოვის გომური, მისი ბრანძები, სიცივისაგან, სიმშილისაგან, სიღარიბისაგან მომტვრეული ახალგაზრდა სტუდენტი. შევადარე ამათი ბედი. რა გასაკვირველია, კაცმა ამ მდგომარეობაში რომ კაცის კვლა ჩაიდინოს, მერმე იმ აზრით, რომ ათას კეთილის იქმოდე? ეს ასრეა,

მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ ეგ საფუძვლიანი აზრია. ერთის წლის წინათ ნილო ამბობდა: გავმართოთ ყრილობები, აღვძრათ ხოლმე კითხვები, აი თუნდ პირველად ეს: „უნდა მოეკლა რასკოლნიკოვს ბებერი დედაკაცი, თუ არა.“ დარწმუნებით გეტყვი ახლა ჩემო მეგობარო, რომ „არა.“ სარამ ჩვენი სოციალური ყოფა, ეკონომიკური მდგომარეობა არ შეიცვლება, რასკოლნიკოვები და პროცენტშიცები არ დაგველევა, თუ ეგენი შეუცვლელნი დარჩებიან, მოკვლის ნების მიცემით, ერთს ჭირს მეორე მიემატება.

8. ¹³⁰ დღეს ძრიელ ცუდი დარია, ცოტათი თოვლს. რა მალ-მალე იცვლება ტაროსები!

9 თებერვალი. ორშათათი.

მე მგონი ყოველი ჩვენგანი სიამოვნებით მოიგონებს თავის წარსულს და ათასჯერ რომ ათქმევინონ იმის ამბავი, დაუზარებლად იტყვის. დღეს ლოლიკის გაკვეთილზე გავფრინდი ჩემ ყმანვილობასთან და ღმერთო, რამოდენა ცვლილება მომხდარა. სადღა ვარ ისა, რაც ვიყავი. ამ ათი-ცხრა წლის წინათ ვიყავ უმანკო სული და ახლა კი გაფუჭებული ცუდის განათლებით. რა მხურვალე ღვთის მოყვარე ვიყავ! მუხლებს ვიმტვრევდი მუხლის მოყრით, ზიარების დროს ჩურჩელის ჭამასაც კი ვერა ვბედამდი წირვამდისინ. და რა ნაირათ მიხაროდა ზიარების მიღება! პირველ ორს სამს წელიწადს შკოლაში ყოფნისა ისევ ენგრეთი ვიყავი. ბრაზებით გული მევსებოდა, როდესაც ვხედამდი, რომ ის შეგირდები, რომლებსაც კატიხიზი უსწავლიათ, უწესოთ იქცეოდნენ. რამდენჯერ მინატრია, როდის იქნება მეც ვისწავლო, რომ ყველაფერი ვიცოდე, როგორ უნდა მოვიქცე. მოვესწარ იმის სწავლას და გაფრინდა ყოველი ჩემი ოცნებები და უკან გამოეკიდა რელიგიური გრძნობა. დარწმუნებული ვარ ყოველს ჩვენგან ათ-თხუთმეტ წლამდინ აქვს დანერგილი ღვთის მოყვარება და თუ ვისაც ეგ ბოლოს აქ აქვს, ეგ განათლების ბრალია. მთელ სემინარიაში ერთ ნამდვილ ღვთის მოყვარეს, თუმც ყველაზე ძიებასოებაში იქ უნდა იყვნენ, ვერ იპოვით. თუნდ, მე. განა მე არა მწამს ღმერთი? არა ჯერ მანდამდისინ არ მივსულვარ. მაგრამ

რაღაც გულგრილობა გვეწვია: “სულერთია.” რაღა რელიგიური გრძნობა შეგრჩება, როდესაც ეკლესიურ კანონს ძალით და გამორიცხვებით გასრულებინებენ. ვსთქვათ გუნებაზე არა ხარ, რომ ეკლესიაში ორი საათი იდგე, ან ცოტათი ავათა ხარ, ან კიდენ საჩეარო საქმე გაქვს. ღმერთს ლოგინშიაც ახსენებ და საქმეს კი ვერ გააკეთებ და შენ ძალას გატანენ უთოოთ წახვიდე ეკლესიაში და იქ ორი საათი იდგე, თუ არა და გამოგრიცხამენ. დარწმუნებული ხარ, რომ ღმერთი ძალას არ გატანს, უთოოთ ეკლესიაში იყო, იმისთვინ „უფალო შემიწყალენიც“ საკმარისია და ეგენი კი თავპირს გამტვრევენ – აბა ამის შემდეგ რაღა დაგრჩება რელიგიური?

ამავე გაკვეთილის დროს მომაგონდა ის სურვილი, რომელიც მქონდა ამ ორი წლის წინათ – ლოლიკისადმი.

ვფიქრობდი, თუ რაკილა ამ საგანს ვისწავლი, მაშინ სულ სხვა ვიქნები მეთქი, სიტყვა-პასუხში ვეღარავინ მომიგებს და ძრიენ ჭკუა-გამჭრიახი ვიქნები მეთქი. აგე დღესა ვსწავლობ ამ ჩემს სანატრელ საგანს. მაკმაყოფილებს? სრულებითაც არა. ჭკუას კი არ ავარჯიშებს, ამახინჯებს. ეს რაღაც ძველი სხოლასიკების¹³¹ სისულელეა. ახალი, ცოცხალი, მიმზიდველი მაგაში არა ფერი არის. ცარიელი უბედური ტერმინები არიან. უჩებნიკი სვეტი-ლინისა¹³². ამ სახელმძღვანელოში კიდენ ცოტა-ოდენს ბურსაკის გაუტეხელი ენერგია თუ გაიგებს რასმეს, თორემ გიმნაზისტის ტვინი პირველ პარაგრაფზევე ჩაიჩიქებს. ამის პროფესორათ ვინ არის? ერთი წელკავიანი, კბილნაკლები, ფეხებ მახინჯი შტილი (მეტი სახელია). თვითონაც კვდარი, საგანიც კვდარი, აბა ბურსაკო, შენ როგორლა გინდა იცოცხლო. უხასიათო პედაგოგმა როგორ უნდა აღზარდოს ხასიათიანი შეგირდი?.. დიემ!

გიერო!

13.¹³³ ჩვენ სემინარიას ხარჯი მოუმატეს. მე მგონი 7,000 მანე-თამდინ. სახელი ჩვენი და სახრავი სხვისი! 2000 ჩვენ შეგირდებს, 5000 მასწავლებლებს. თურმე სულ “ურას” იძახდნენ!

დღეს ლოლიკის მასწავლებელმა ერთი შეგირდი ისე შეაწუხა, ისე დატანჯა უროკის კითხვის დროს, რომ კინაღამ გული

შეუწისდა, რომ გარეთ არ გასულიყო და თავზე წყალი არ დაესხა. აი კარგი პედაგოგიური პრიომი და ძრიელაც ახალი, ასე რომ სხვებს შეუძლიანთ წაბაძონ.

14 თებერვალი. შაფათი.

ერთფეროვან და დაურღვეველი არის ჩვენი ბურსაკული ცხოვრება! უშფოთველად მიიზღაზნება ბურსაკული ცხოვრება ახალი აზრები მას არ აღელვებს; ბურსა მოკლებულია ხეირიან-ურნალ გაზეთებს (მარტო ივერია და დროება გვაქვს), ახალ კარგს წიგნებს და ბევრს სხვას რასმეს. ჩვენ უკეთურ მასწავლებლებს მოსდით სახელმწიფო ხორტით¹³⁴ თითო-ოროლა რუსული უურნალი და იმასაც არ გვაძლევენ. რა მწარეთ გამელიმა, რო იცოდეთ, თუ როგორ უსვინდისოთ მოგვატყუა ჩვენ დღეს ბიბლიოტეკარმა. უურნალების კატალოგი ვთხოვე და მოგვცა: რომელიც გინდათ ამოინერეთო. წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როდესაც მას მივეცით ბარათი, რომ მოეცა «отечественные записки» за 1876 г.¹³⁵ უარი მითხრა. მასწავლებლისგან რეკომენდაცია მოიტანეო. განა არ იცით რა არიან ჩვენი მასწავლებლები? როდესაც ბარათს მიუტან, ხელი მომინერო, გეტყვის: რა დროს თქვენი უურნალის კითხვაა, უროკები ისწავლეო. საცოდავი კრებულიც კი არ მომცა, რეკომენდაცია მოიტანეო. ეს საწყენი არ იქნებოდა, თუ ყველაზე მოეთხოვნა რეკომენდაცია. წარსული საუკუნის დროს და 30 წლის უურნალები სულ ურეკომენდაციოთ დაურიგა. აბა ამ გაიძვერაობას რა უთხრა: ვითომც და ნება მოგვცა რაღა!. მატემატიკის მასწავლებელზე მინდოდა ლაპარაკი და რაზე დავიწყე? მაგრამ სულ ერთია. ბურსაში ღრმა ძილია. დღეს ერთმა უბრალო რამემ ცოტა არ იყო გაგვამხიარულა. მატემატიკის მასწავლებლად გვყავს ერთი ძრიენ მოხუცი, ოთხმოცი წლისა იქნება, სახლათ პ.ი. გულაკი¹³⁶. ვინ იცის მაგ საცოდავს, რამდენი ვაი-ვაგლახი გამოუვლია. როგორც ამბობენ, ყმანვილობაში დაუდგრომელი ხასიათისა ყოფილა და მიტომაც ვირის აბანოში ბრძანებულა ბარე თორმეტი წელიწადი. მას უკან ათასგან უმსახურნია და ბოლოს აქ გამოგზავნეს გიმნაზიაში მასწავლებლათ. მატემატიკა ძრიენ იცის, მაგრამ არც გადაცემა უვარგა,

და არც ქცევა. შეგირდები ვითარათ არ ეპოვებიან, რისთვინაც ვერაფერს ასწრობს. მე ძრიენ მომწონს და მიყვარს ეგ მოხუცი და ძრიენ ზიზღი მომდის, როდესაც შეგირდები უპატიურათ ეპყრობიან. მაგრამ რას იზამ. თუმცა თავის საგანს ვერ გვასწავლის კარგათ, მაგრამ რა უყოთ? რომელ სემინარიაში ასწავლიან კარგათ მატემატიკას? არცერთში. ეგ ხომ სამხთო წერილი არ არის, რომ განვითარებული პროფესორები დანიშნონ. აი სწორეთ ამ ბებერმა გაგვალიმა დღეს, თითქმის ყველანი. საკვირველია ამ ბებრის ფიზიონომიის გამომეტყველება, როდესაც გაკვეთილს გვიხსნის. ეტყობა რომ სულ უგულოთ არის; უჩებნიკიც წუნკი გვაქვს. (მოკლეთ «Космография» Вагенса Воленса.) და როდესაც სხვაზე დაიწყებს ხოლმე, რაღაც სიცოცხლე იხატება მის დაბერებულ შუბლზე. აი რა გვითხრა, სხვათა შორის დღეს. ყოველს ზეციურს სხეულს გაუვლია და უნდა გაიაროს ოთხი ფაზისი. პირველი ლრუბლოვანება; 2, ლრუბლოვნებიდან გაკეთდება მნათობი სხეული, რასაც ეკუთვნის მზე, 3, მერმე სხეული გადაიქცევა მიწათ, რომელსაც შეუძლიან ცხოველებია და მცენარეებია, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი დედამიწა; 4, როდესაც წყალი სხეული გადაიქცევა მთვარედ. ამაებს დიდი ხანი უნდა. ბევრი ამისთანები გვითხრა, მაგრამ ... -

15.¹³⁷ ორი დღის წინათ მთელი დროების ნომერი ილიკო ჭავჭავაძის სტატიას ეჭირა. სწორე გითხრათ მომენტია. უბრალო – მიქარ-მოქარვა, ლანძღვა არ იყო. იანოვსკი დედააზრში იყო დაჭერილი. აბა, ნათქვამია: “ძალლის კუდი თავის დღეში არ გასწორდებაო”.

რუსები თავისას აბა რათ დაიშლიან? “გაჭირვება მიჩვენე და გაქცევა მე ვიციო”. ილიკოსაც ანგრე მოუვიდა. ლრმა ძილის შემდეგ ძრიელი ხელის გაქნევაც უნდა.

დღეს ჩემი ძმის წერილი ანთიმოზთან წავიკითხე: შვილი თანდათან მიყვარდებაო. ვაი თუ გულიც ძრიელ ქონდეს აქეთ და ვერ არის მოსაწონი.

15 თებერვალი. კვირა¹³⁰

დღეს გარეთ არ წავსულვარ, არ მინდა ჩემს დღიურში ჩავწერო ის, რა ფიქრებიც მომივიდა წირვაზე. ჩვენი შეკოლა არის «закрытое заведение» და მაშასადამე შეგირდებს ისე არ შეუძლიან იტუნტულონ გარეთ საზოგადოებაში, როგორც გიმნაზისტებს. ამის გამო ბურსაკებმა ძრიენ სუსტათ იციან ცხოვრება, მიხვრა-მოხვრა და საზოგადოთ ეტიკეტი. აი აქედან მომდინარეობს ამ წინადადების ჩამომავლობა: “აი მე ბურსაკი!”. ეკლესიაში ბლომათ ქალები დაიარებიან ხოლმე და შეგირდები სულ იმათ უცქერიან, სარამ ყურს უგდებენ წირვა-ლოცვას. ხომ იცით, რასაც მოკლებული ხარ, ის უფრო ძრიენ გინდა. მე რო ჩვენის ბერისა ვიყვე, ქალებს სულ აღარ შემოუშვებ ეკლესიაში და შეგირდებს ცუდი აზრები აღარ ექნებათ გულში ლოცვის დროს.(!) ერთმა ქალმა მიიქცია ჩემი ყურადღება. არ ვიცი რისთვინ გაუჩენია ეს ქმნილება ღმერთსა!? რა გამოსადეგია, რის მანქანა? ისე ნაზათ იყო ჩაცმული, ისე დადიოდა, გეგონებოდა, ან ეხლა წაიქცევა, ან ეხლაო. რისთვინ მოსულა აქა, რა უნდა ეკლესიაში, მაგის იდეალი არის ბალი, ლენტები, სიმდიდრე, სილამაზე და სხვა სისაძაგლე. ბურსაკებს უნდა აუმდეროს გული? Бурсакъ ей не пара.

თებერვალი ყველიერი

17. ¹³⁹ დღეს ჩვენმა ეკონომმა მითხრა, რომ შენი ძმისწული, უკანონოთ დაბადებული, მოვნათლეთო. ნათლიათ ილია ჭავჭავაძის ცოლი¹⁴⁰ იყოვო. მე რაღა მეთქმის: “ღმერთმა გაზარდოს”.

დღეს ისეთი ცივა, რომ გეგონება შუა ზამთარიაო.

უელლესის «Естественный подбор»¹⁴¹ გავათავე.

17 თებერვალი. სამშაფათი.

ბევრი კაცია კეთილის გულით და ცდილობენ სხვასაც უყონ კეთილი. აი თუნდ ეგნატე. ეს ორი სამი კვირაა, რაც ვიცნობ, და აგერ იმისი მესამე წიგნი მაქვს ხელში. ამას აქ იმიტომ ვამბობ, რომ ბურსაში არის საზიზლარი სენი. შურთ ხოლმე ერთი-ერთმა-

ნეთის წიგნის თხოვება, რა არი მე ვიცოდე და იმან არაო. ის კი არ იციან, რომ ვისაც სწავლა სურს ამითი ვერ გააჩერებენ. არვიცი რა მიზეზია ამ საძაგელი სენისა და მიუკარებლობისა. მგონი ზავედენის დაკეტილობაა (!) ოჰ, იმას ვამბობდი, რომ ეხლა გავათავე უელლესის «естественный подборъ»-ს კითხვა. Не мне его критиковать, магната ар შემიძლიან არ ვთქვა ორიოდე სიტყვა იმ ალაგებზე, რომლებიც ძრიელ მომენტია. უელლესი ინსტინკტის ყოფნას უარყოფს. Амасწინათ წავიკითხე ა. ლებრურის თხზულება «Объ уме животныхъ»¹⁴² და მის შემდეგ უფრო ძრიენ აღარ გამიკვირდა ეგა, თუმცა ამ ორი წლის წინათ დარწმუნებული ვიყა, რომ ინსტიკტი არის. მეორე ალაგი «Миметизмъ»¹⁴³ ესეც მშვენიერებაა. ორიოდე სიტყვა მოსკოველ მთარგმნელებზე შემდეგში.

20 თებერვალი. პარასკევი. იმედი.

ეს ეს არის ეხლა გავათავე იმედი¹⁴⁴. რა ვთქვა საზოგადოთ იმედზე? ის უნდა ვთქვა, რომ დიდ იმედს გვაძლევს. სულ ახალ ახალია, ძველი არა ფერი არის, ნათქვამს არა ღეჭამენ. თითქოს მთელ უურნალში გარმონიაც შევნიშნე და სიმმეტრიაც. ყველა სტატიების აზრი – ხალხის ცხოვრებაა, მის გაუმჯობესობა, ნამდვილი გზის ჩვენება, ბოროტების დანახვა, ცუდის გამოაშკარავება და სიმართლის აღდგენა. ერთი კიდე – ივერიის და დროების ბრძოლა. როგორი ბრძოლა? დაუდგრომელი. რათა? რისთვინ? მიტომ რომ დავარდნილები არიან აზრებით, ლტოლვილებით და ყველას ფერით, როგორც გაზაფხულის პირზე ვარდება ფილტვი გაფუჭებული ხარი. რა მეცა ყველაზე წინ კიდენ თვალში, ეს რომ ჯერ-ჯეროფით სულ კიცხამენ და თვითონ როგორებს მოგვცემენ, დავინახამთ. თითქოს კიდენაც როგორლაც უხდება მალ-მალი “იმედის” ხმარება პროზაში გინდა, თუ პოეზიაში. ერთი კიდენ ეტყობა იმედისტები ძველ ქართულ სიტყვებს კუმირებათ არა ხდიან, როგორც ივერიისტები. მაგალითებრ, რა იყო გუშინდელ დროებაში სიტყვა “მოკარნახე”? (სუფლიორი¹⁴⁵). უფრო ჩქარა არ გავიგებ სუფლიორს, სანამ მოკარნახეს? განა ერთი არ არის რომელი სიტყვაც უნდა ვიცოდე? სუფლიორის ცოდნა უპირატესობას მამცემს მე. ჯერ იმიტომ, რომ ყველა ევროპულ ხალხს ეგ

სიტყვა აქვთ მიღებული, მეორე ესა მაგის ფესვიც ვიცი. Souffler = ბერვა. ფრანგული სიტყვაა, და მოკარნახეს ფესვს ვინ იპოვის. მეტყვით, ქართველებისთვინ ეგები გასაგები იყვეს? ისემც ლმერთი უშველით. ქართველი არა ვარ, რატომ არ გავიგე? თუ იმ საზოგადოებას იტყვით, რომელიც ჩვენისთანა განათლების მიღების ღირსი არ გამხდარა, თუ მკითხამთ, ეხლა ისინიც ფრანციცულს სიტყვებს უფრო გაიგებენ, სანამ მოკარნახეებს. ერთი კიდენ - ბატონი - ტერმინი დროება-ივერიისა მცუველით-უფლათ. ეს სულ წვრილმანი ამბები. მშვენიერნი არიან იმედაშვილის ლექსები. პოემაც ძრიენ მომენტია. ჩვენი ისტორიული ცხოვრება კარგათ არის გამოყვანული. რიონი კარგათ ხატამს იმერლების გაიძვერაობას და გაქნილობას; ტკვარი - ქართლელების სიდინჯეს. ტკვარი რიონს დასცინის, ჩქარი ხარო; რიონიც კარგათ უგებს, არც შენა ხარ ძაან წინდახედულიო. სამშობლო მოყვრის მაგივრათ მტერს ჩაუგდე ხელშიო. აბდუშელი - მოკლეთ რო ვთქვა, შეახურებს და გააღვიძებს ივერიელებს. აღტაცებით წავიკითხე სტეპკოს¹⁴⁶ სტატია. რა გდებულა ე ბიჭი! ცხადათ დამანახვა რას ემსახურებოდა აქამდისინ ჩვენი ლიტერატურა. მიფლა შენი რუსთველიც, შავთელიც, აბდულაც და სხვ. მეტი მეტათ კარგათ ვიცან ლიტერატორები აზნაუ პერიოდისა. სულ თვალ წინ მიღვანან. მაგრამ название неудачное.

23.¹⁴⁷ ამ ყვერიელის ბოლო ოთხ დღეში მუნდამდლე შინაურულ წარმოდგენებსა ვმართამდით. შეგირდების და ჩვენის მასწავლებლების გარდა სხვა შკოლის შეგირდებიც გვეწვეოდნენ ხოლმე, ანგრეთვე ის, მაყურებლებიც ცოტაოდენი. ზოგს ხელოვნურათ ვადგენდით, ზოგი კი გვიფუჭდებოდა. ერთ პიესას გარდა მე ვიყავი სულ სუფლიორად. წუხელი ორი პიესა წარმოვადგინეთ. თავი კინაღამ გამისკდა.

23 თებერვალი. ორშაფათი. დიდ-მარხვა.

მამილოცამს დიდ მარხვა, მაგრამ რა მოსალოცია. ჩვენ ბურსაკებისთვინ სწორეთ რომ დიდი მარხვა არის. პირველი კვირა უფრო საშინელი იქნება ჩვენთვის. მართალია ეხლა სწავლა არ

გვექნება, მაგრამ მეორე კვირასთვინ თუ სუსტათა ვარ, ძნელი იქნება. ამ კვირას გვექნება მარტო ლობიო და კომბოსტო, ხანდისხან სემენარიული ფლავი. საჭმელს გადაუწყდეს, ნეტა ე ბერებივით არ გვალოცებდენ. დილას ხომ ვიდექით საათ ნახევარი, აგერ ეხლაც ამ წუთს დარეკენ, თუ ორი არა საათს ნახევარს მაინც უნდა ვიდგეთ. უნდა გეყურებინათ ვისმეს, რას გამდა ჩვენი დილანდელი ლოცვა! ნაპახუსევი ხალხის გროვას. ზოგს ამთქნარებდა, ზოგი თვალებს იწმენდდა, ზოგი თავს აქანდარამდა, ზოგი კიდენ ძალლუმადურათ პიეტეარს იწერდა. ალსავლის კარიდან მოისმოდა რეკტორის ხრიპინი, რომელსაც ეტყობოდა, რომ წუხელს ქართულათ უაღებლამნია და მერმე ცოტათი შესცივნოდა. ხორებიდან წრიპინებდენ მგალობლები, რომლებმაც ვერც ერთი საგალობელი ვერა თქვეს ტონზე. რასაც მკითხველი კითხულობდა არც თვითონ ეყურებოდა, არც ჩვენ. რა მიზეზია ამ გულ გრილობისა? პირძალ დატანება და მეორე, ათასნაირი სხვა მიზეზი, რომლების ახსნას დღიურში არა აქვთ ალაგი... ვაიმე, მუხლებო! ღმერთო მიხსენ ამ სატანჯელისგან!

25 თებერვალი. ხუთშათათი.

უნინდელი და აწინდელი ბურსა.

კაცი ისეთს არას გააკეთებს, რომ ის არ უყვარდეს, თუმცალითაც ბევრი რამ შეიძლება. სემენარიაში მე დიდ ხანს აღარ დავრჩები. ბევრი-ბევრი წელინად ნახევარი. მერმე წავალ სხვაგან, მეც არ ვიცი სადა. ბურსის ფერი ათასნაირათ შეიცვლება და რომ ის მაინც არ დამავიწყდეს რასაც ვხედამ, ან რაც მინახამს, ან რაც გამიგონია, განვიძრახე გადავავლო თვალი უნინდელს და აწინდელს ბურსის მდგომარეობას და ჩავწერო ჩემს დღიურში. შეიძლება ათი, ოცი წლის შემდეგ მევე წავიკითხო ჩემი ნაწერი სიამოვნებით ბურსის ახწერაზე ან ისიც შეიძლება, რომ სხვამაც სიამოვნებით წაიკითხოს ჩვენ ბურსაზედ.

რუსების მოსვლამდინაც გქვონდა ჩვენ სემენარიები, მარამ ისინი სულ სხვა ხასიათებისა იყვნენ და მათზედ ბევრიც არ ვიცირა. მე მოგახსენებთ იმ სემენარიაზე, რომელიც მზდის. სემენარიასა, ანუ ბურსასა ამასა ბევრჯელ უცვლია ბევრი, ანუ გაუ-

ვლია ბევრი პერიოდები, ანუ რამდენიმე ფაზისი. ჩვენი სემენა-რის არსებობა სულ ორმოცდა თოთხმეტი წელია (1881 -1826?) პირველად, როცა დააარსეს, როგორც პომიალოვსკის ბურსაში, თვითონ მართებლობა ეხვეწებოდა ღვდლებს შვილების მოსაყ-ვანათ. ისინიც ინაზებოდნენ. ვინცკი ბედამდა შვილის მიცემას, ბავშვობისას კი არ აძლევდა, წვერ ულვაშით რომ შეიმოსებოდა, სწორეთ მაშინ მიიყვანდნენ. რადგანაც მაგოდენა ახმახებს დედა ენის მეტს ვერას ასწავლიდენ, ამიტომაც იმ დროს სემენარია-ში მეფობდა ქართული ენა. რუსული კი კუნჭულში იყო მიჩქმა-ლული. ბევრიც რომ ეწია, იქიდან ვერ გამობრძანდებოდა, სულ მუშტი-კრივით იფრენდნენ იქითკენ, საიდანაც მობრძანდა. მერმე ახალიც იყო. ეგ ერთი ხანა. შეგირდებზე მაგ ხანაში არას ვი-ტყვი. განა არ იცით, როგორ იქნებოდნენ, მაშინდელი შეგირდე-ბი საზოგადოთ და ბურსაში ხომ ყველაფერში გადაჭარბებული იყვნენ. ნახევარზე არ დადიოდნენ გაკვეთილებზე, მომეტებულ დროს ატარებდნენ კრივში და ცუდლუტობაში, არავითარი სხი-ვი განათლებისა მათ არ ეკარებოდათ. შკოლაში სწავლობდნენ დავითიანს და ეკლესიურ წესებს. ისიც ბევრჯელ ერთის მაგიე-რათ მეორე ეუბნებოდა გაკვეთილს. ერთის სიტყვით ბურსაკე-ბი ცხოვრობდენ უდარდელათ. ხანდისხან არამც თუ სანათი არა ქონდათ ხომე, ლობიო და პურიც კი აკლდათ, მაგრამ არც მაგაზე დარდობდენ. ძალლებივით ხან სად იშოვიდნენ, ხან სად. ზაფხუ-ლობით ხომ მებალეებს მოსვენებას არ აძლევდნენ. დადგებოდა არდადეგები, გამოთხოვდნენ თითო პურს, წალებს მხრებზე შეიყ-რიდენ, მხიარულობით, ოხუნჯობით ჯგუფ-ჯგუფად გასწევდნენ შინისკენ.

მეორე ხანა. მაგ პერიოდში მართებლობამ ცოტა მაგრათ ჩახვია ბურსაკების საქმეს ხელი. ცოტაოდნათ ალაგმა დაუდგა რომელი სული ბურსაკებისა, თუმცა ძველებური მაგ პერიოდში ისევ ბევრი იყო. ამ პერიოდში რუსული არამც თუ დარჩა კუნჭულ-ში დამწყვდეული, არამედ ორიოდ სამი ნაბიჯი წინა ქნა. წირვა ლოცვაც კი კვირაში რამდენჯერმე რუსულად მიდიოდა, სადაც შეგირდები ეხმარებოდნენ. ცოტაოდნი დისციპლინაც დაადგი-ნა მართებლობამ. აღმოსავლეთის ენებიც შემოიღეს, როგორც თათრული, ოსური და კიდე ბერძნულიც (ეს კი კლასიკურია).

მაგათ სწავლას ბურსაკები მაინც არა ნაღვლობდენ. პრაკტიკულათ ლაზათიანათ სწავლობდენ. აი როგორ: სემენარიაში მეტებრ ნაწილს უთოოთ ოსები შეადგენდენ და იმათთან შეეძლოთ სწავლა. ეგეც რომ არ იყოს, ვინ თხოულობდა სასტიკად? ან კი როგორ მოითხომდნენ. წააქცევდენ იმ მასწავლებელს და ტყიპს გააგდებდენ ცემით. თათრულის და ბერძნულის ბედიც ეგ იყო. ზნეობით და ზდილობით მეორე პერიოდის ბურსაკები ძრიელ არ გაირჩეოდნენ პირველებისგან.

მესამე ხანა. მესამე პერიოდის ბოლოდ ჩაითვლება 1867 წელი, როდესაც ახალი რეფორმები შემოდიან ჩვენშიც. ეს პერიოდი რაღაც უფერულია, ორიგინალური აღარა არის რა, აქა ... ხასიათი აქვს. სხვაზე ეს პერიოდი მითია შესანიშნავი, რომ ეხლა რუსული ზედ შუა გულზე დგება. ქართული თან-დითან კუთხეებში იჩქმალება. ეკლესიაში სამსახური რუსულად მიდის და ქართულს ენაზედ კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოწყალებასავით ნებას აძლევენ. სხვათაშორის ამ პერიოდში მართებლობა კი აღარ ეხვენება ღვდლებს შვილების მიყვანას, არამად ისინი თვითონ. შეგირდების ზნეობაც ცოტა არ იყო შეიცვალა. განათლების სიყვარულმა ცოტა არ იყო ფეხი მაგრა აიდგა. ბევრმა ნიჭიერ-მა ბურსაკმა შეასრულეს მაღალი სასწავლებელი და შეიქმნენ ხალხის მოღვაწედ. კიდენ სახარაკტერისტიკო ამ პერიოდის, ესა რომ მართებლობამ ძრიენ ასწია რუსული, ასე რომ გვარებსაც კი დაუწყეს გადასხვაფერება. მაგ. ჩემი მკვიდრი სიმას გვარი ნადირაძე, გადააკეთეს ნადიროვი; ედილაშვილი ედილოვი და სხვა. ეს პერიოდები სემენარიის წინსვლელობისა ისე არ არიან შესანიშნავები, როგორც ბოლო ორი, და მათში პირველი ანუ მეოთხე.

მეოთხე ხანა. ეს არის პერიოდი რეფორმებისა. ამ დროს შემოიღეს კლასიკური ენები. ის ალაგი კი აღარ ენდომათ, რაც მეორე პერიოდში, არა, უპირველესი. მეორე კიდენ, რომ რუსული გადაეფაფრა ყველას, ქართული კი ისე მიჭყლიტეს კუთხეში, რომ დიდ ხანს უნდა იხავხაოს, რომ თავი დაახნიოს იქითგან. მაგ პერიოდის ბოლოდ ჩავთვლი დროს ამ ხუთი წლის წინათ. ამ პერიოდს სხვებთან აქვს ერთი რამე საერთო, ეს რომ აქაც დიდ ტანიანები მოყვნენ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ პერიოდის შეგირდები იყვნენ გატაცებულნი მარტო პატრიოტული გრძნობე-

ბით და მაღალი ლიბერალური აზრებით კი არა. არა, ბროშურკებსაც ქონდათ ცოტაოდენი მონაწილეობა. ეგ ბროშურკები იყვნენ საფრანგეთიდან შემოტანილნი. მაგ. პარიჯская коммуна, ხითრა მექანიკა¹⁴⁸, ისტორია ერთი კრესტიანისა¹⁴⁹ და სხვა. ეგ ბროშურკები მეც ვიწვნიე და მართალი თქვას კაცმა, აგაპილპილებენ. მართალია, ბოროტ მოქმედებას ამხელენ, მაგრამ ვისაც ჭკუა და ტვინი დახშული არა აქვს, კარგათ დაინახავს მაგ ბოროტმოქმედებას უამბროშურკოთაც. ეგ თავის დღესში საფუძვლიან სწავლას ვერ შეგძენს. მე მაგალითაებრ, სრულებით არა თანაუგრძნობ მაგათ. მე მინდა სწავლა, რომ ამამაღლოს ჭკუით, დამეხმაროს ბოროტების აღმოსაფხვრელად და იყოს ისეთი საფუძვლიანი და ძლიერი, რომ რკინას დავკრა, გააპოს. ბოროტმოქმედებას ისეც კარგათა ვხედამ. ოჟ, იმას ვამბობდი ბურსაკები აპილპილებულნი და გატაცებულნი აღარა ფერს აღარ იღებდნენ მართებლობისგან და აღარას უგონებდნენ, თავის დამცირებად მიაჩნდათ მართებლობის ძალლებივით ლაქუცი და ყოფნა ყურ მოჭრილი ყმად. შეადგინეს თავისებური შეხედულობა საგანზე და აღარას სწავლობდენ. დროს დაკარგვათ მიაჩნდათ უროკების სწავლა. მიაწვნენ წიგნების კითხვას და სემინარიის საგნები არხივში გაისტუმრეს. ნაყოფიც საგნებში სამწუხარო იყო მართებლებისთვინ. სულ დვოიკები, თუ გაჭირდა ტრიც ზოგს გაუკვირდება. საიდან მოხდა ამისთანა ნახტომი. წინ წაწევა? მესამე პერიოდის შეგირდები ისევ ჩათლახები იყვნენ და მეოთხე პერიოდის შეგირდებს ბასი ქონდათ დარვინის ტეორიაზე, სხვა და სხვა სოციალურ კითხვებზე, საფრანგეთის რესპუბლიკაზე, ლასალზე¹⁵⁰ და სხვ. საქმე იმაშია, რომ სამოც წლებში მთელ რუსეთში იყო მოძრაობა. დობროლიუბოვის და პისარევის იდეებმა აქამდისინაც მიაღწიეს, მაგრამ მაშინვე კი არა, ცოტა დააგვიანეს. ეს პერიოდი მითია შესანიშნავი, რომ მართებლობას შეგირდები უწევენ ოპპოზიციას, ბრძოლაში იყვნენ ნაბოლარნიც. ისინიც ცდილობდნენ წაეკითხად რამე. ზოგს კიდეც რცხვენოდა გაკვეთილების კარგათ სწავლა. აი ამ ნაირ სურათს წარმოგვიდგენს მეოთხე პერიოდი, მაგრამ ეს ერთი მხარე. პიტერის მართებლობამ დაინახა თუ რა, რომ სრული ანარხია იყო აქა, გამოგზავნა კუშინსკი. ღვთის წყალობა გაქვს, იმან მაღალ ბოლო მოუღო საწყალ დაუმწიფებელ ლიბერალებს,

რომლებიც იქცეოდნენ წინდაუხედავათ და არა ცდილობდნენ ცოტათი მაინც მიემალ მოემალათ თავიანთი წიგნები. ეხლაც მოიპოვება სემინარიის ბიბლიოტეკაში ხან დარვინის წართმეული თხზულება, ან სპენსერი: ან ქართული რამე, ან ინოსტრანული ლექსიკონი. მწარე ლიმილი მომივა ხოლმე, როცა მაგათს სახელს ამოვიკითხამ კატალოგებში. ცხადათ მეხატება კუშინსკი და მისი საცოდავი მსხვერპლი! ოჟ, ბატონო, იმას გეუბნებოდით, რომ კუშინსკიმ სამ-ოთხ წელიწადში ისე მოუსუფთავა ბურსა, რომ იმათი სახსენებელიც აღარ დარჩა. მაგ გამორეკილებში სხვათა შორის ჩემი ძმაც და სტეფანეც. რა იქნენ გამორეკილები? ვერ უღალატეს თავიანთ იდეებს და წავიდნენ პატარ-პატარა ჯამა-გირებით სოფლებში. ეხლაც იქ მოქმედებენ. ზოგი კი გამონელ-და და ფოჩტალიონებათ წავიდნენ! კუშინსკიმ შეასრულა თავისი მისსია და გადიყვანეს სხვაგან. ეხლანდელი მდგომარეობა შეად-გენს მეხუთე პერიოდს, რომელშიაც მე მოვყევი. ამ პერიოდში არიან როგორც ტანით ბალდები, ისე ჭკუით. წიგნების კითხვა, ჭკუის გახსნა ფეხებზედ კიდიათ. მაგათი კუმირი გაკვეთილები და კარგი ბალები. მაგებში იკლამენ თავებს. აღარაფერი მაღალი აქ აღარ პოულობს ხმას. ბურსა აღტაცების შემდეგ მიეცა ძილსა, კოლერატიული და ამხანაგური სული გაქრა სამუდამოთ. ახალი ცისკარი როდის ამოვა, ღმერთმა იცის.

მარტი 1881 წელი

2.¹⁵¹ დღეს აქ მოვიდა ამბავი, რომ ხელმწიფე იმპერატორი მოკლესო¹⁵².

მარტი, 2. ორშათათი.

დღევანდელი დღეს სწორეთ შესანიშნავი დღეა. პიტერიდან მოვიდა ტელეგრამა, რომ რევოლუციონერებმა ხელმწიფე მოკლესო. რამდენი ფიქრი, რამდენი ოცნება აღიძრა ჩემს თავში სამშობლოს ბედზედ? ღმერთო რა ხალხია ეს სოციალისტები? რა ენერგიისა, მაგარი ხასიათისა? რამდენი დატანჯეს, რამდენი აწვალეს და რა წაირის თავგანწირულებით მისდევენ კიდენ

თავიანთ მიზანს? განუსაზღვრელათ უნდა უყვარდეთ მაგათ ხალხი, რომ პირდაპირ ტანჯვასთან თავს არ ინანებენ? განა ეგ ახალგაზრდობა ღირსი არ არის სიყვარულისა, თანაგრძნობისა? მაგრამ უკულმართობას სამართალს ვინ მოსთხოვს. დღეს ხალხი დააფიცეს ახალი ხელმწიფის ერთგულებაზედ. იქ ერთს მოხუცს მიუგდე უური და აი რა გავიგონე: собачie отродie! Этихъ коммунаровъ нужно всехъ перебить, сослать въ сибирь, пытатъ, плоть ду мученія!.....

მოდი ახლა და გულგრილათ მოისმინე ეს სიტყვები! მკვლელი სემინარისტი ყოფილა. (?!!!!?....?....?....) ჩემი ამხანაგები კი დღეს იმაზედ ლაპარაკობდნენ, რომ გემნაზისტებივით პარადში არ გაგვიყვანესო!.. არ გეგონოთ, რომ სულ მაგისტანები იყვნენ. ნამდვილი სემინარისტებიც არიან და რა არა ვთქვით!.....

.....

4. ¹⁵³ ხმები დადის, რომ გვარდიას არ შეუფიცნია ახალ იმპერატორისთვინ. ეტყობა არეულობა მოხდება.

გუშინ წინ აქაურმა ჯარმა შეფიცა. საცა არ მოელოდნენ, იქ ყველაზე ძრიელ არის სიჩუმე და სიმშვიდე.

7 მარტი. შაფათი.

რაღაც ნაირ სიამოვნებასა ვგრძნობ, როდესაც ვკითხულობ ისეთს წიგნს, რომელშიაც სიმართლე გადაჭარბებულია ტყუილზედ. თუ ისეთს სიმართლეს და ჭეშმარიტებას შეეხება, რომლებსაც შენც კარგათ გრძნობ, მაშინ ხომ წიგნი და ავტორი ერთი ორათ შეგიყვარდება. გუშინ წავიკითხე კრივენკოს თხზულება «Физический трудъ, как необходимый элементъ образования»¹⁵⁴. რა არის ამ წიგნში? ისეთი არაფერი, რაც ჭკუით დაუმახინჯებელმა კაცმა არ იცოდეს. წიგნს რომ ვკითხულობდი, მაგალითებათ ხან ჩემი თავი წამამეკეტებოდა, ხან ჩემის ამხანაგებისა. თუ რა ნაირათ შეკოლა ამახინჯებს ყმაწვილებს ფინთის სწავლის სისტემით, თუ ფიზიკური შრომით, ამას ყველა დაინახამს, ვისაც უნდა და ვისაც არა, იმას თვალებში თითიც რომ წაატაკო, მაშინაც არ დაინახამს. აი თუნდა ავიღებ ჩემს თავს და ჩემს ამხანაგებს.

რასა გვძენს შკოლა? არაფერსა. ფიზიკურად დაგვამახინჯა და ის სწავლა, რომელიც მივიღეთ, გასვლის უმაღვე შკოლიდან დაგვავიწყდება. ვინც სუსტია, ჩაფლულია, ვინც მაგარი ხასიათისა, ის თავს გაიტანს, მაგრამ რა ვაი ვაგლახით? ამ ორი დღის წინათ ერთი ჩემი ამხანაგი ამბობდა: “შინ რომ შკოლიდან წავალ ვერ ვიმუშავებო.” გაცოცხლა ღმერთმა! სხვას ოფლით ახამებ? დიახაცა. აი რანაირ ეგზემპლიარებს ზრდის ჩვენი შკოლა.

15 მარტი, 1881¹⁵⁵

დღეს მივიღე სამსონისგან წერილი. აი რას მწერს: “მასუკან, რაც თავი დავანებე მაგ ოხერ სემენარიას, სულ გამოვიცვალე. ჯანმრთელობითაც არა მიჭირს რა, კარგათ ვარ. ცოტაოდენი რაც კი ხეირიანი მოიპოვება, ქართულს ლიტერატურაში ვშოულობ და არც რუსულსა ვარ მოკლებული. რამდენსამე პირს გვაქვს გამოწერილი რუსული გაზეთები და ჟურნალები. თითო ოროლა ხეირიან წიგნებსაც ვშოულობ: რაც განათლებამ დამაკლო სემენარიაში, ახლა აქ ვიძენ, თუმცა ძრიელ ნელა კი. შკოლის საქმე კარგათ მიმყამს ღვთის მადლით. სრულებით არ მეგონა, თუ ვივარგებდი ამ საქმეში”. თითქმის ერთი წელიწადი გავიდა მის აქეთ, რაც სამსონი სემენარიაში აღარ არის. იმ ავათმყოფობის შემდეგ, რომელიც ზემოთ აგინერეთ, სამსონი შკოლაში აღარ დარჩენილა. დედ მამაც აღარ ეწინააღმდეგა. სამსონს ეგზამენებიც აღარ მოუცდია, დაანება თავი სკოლას თხოვნით.

1881 გода 15 марта.

Кипшиძე.

„დღიური“ ერთი სემენარიელისა.¹⁵⁶

1881 года 21 марта.

მარტი 1881 წელი

21. ¹⁵⁷ აგე ეს სამი კვირაა, რაც ერთიერთმანეთზე უარესი ამბები ხდება, და მე კი არაფერი ჩამინერია ამ პატარა წიგნში. ან რა საჭიროა? მართალი რომ თქვა და ხეირიანი რამე ურჩიო მართებლობას, იზმენიკი ხარო და ეი გიდი ციმბირში! არა რით ვერ დაინახეს, რომ ხმარებული საშუალებებით სახელმწიფოს ვერ ამშვიდებენ და ხელმწიფესაც უმწარებენ სიცოცხლეს! ბიჭო, საცდელად მაინც ქნან რამე. ეგები ივარგოს და მშვიდობიანობა ჩამოვარდეს.

21 მარტი. შაფათი.

თუმცა სასაცილოა, რასაც ეხლა დავწერ, მაგრამ მაინც მინდა, რომ ჩემს დღიურში იყვეს. ეს სხვისთვის სრულებით არ იქნება საინტერესო, ჩემთვის კი ცოტაოდენი. პატარაობიდგანვე “გოროზს” და ამპარტავანს მეძახდენ, ვისაც კი ახლო გაუცვნივარ, და ცოტა არა, რომ მართალი დგება. საქმე იმაშია, რომ გუშინ წინ წავიკითხე ბერნარდე გელვიგის¹⁵⁸ ოთხი ტემპერამენტი: სანგვინიური, ხოლერიკული, მელანხოლიური და ფლეგმატიკური. გელვიგი ამბობს, რომ ყოველ ინდივიდუმს თავისი განცალკევებული ტემპერამენტი აქვსო, მაგრამ შეიძლება ოთხ გრუპაზედ გაიყოსო. ეგ გრუპები ზემოდ ჩამოთვლილნი გახლანან. გელვიგი განიხილავს ცალ-ცალკე თვითონეულის ტემპერამენტს ბავშვებში. სიცილით მოვკვდი, როდესაც ხოლერიკულ ტემპერამენტზედ ჩავედი. წარმოიდგინეთ, ჩემი თავი ვიცანი შიგა? ზოგი განმარტება ისე ცხადია, რომ პარალელი შემიძლიან გავავლო ჩემის ყმანვილობიდგან მოყვანილს ამბებს და გელვინის სიტყვებს. აი თუნდა გელვიგი ამბობს: (Четыре темперамента соч. Бер. Гельвина. Семья и Школа¹⁵⁹ за 1874 г. кн. II , ст.59.). “ის წუთი, როდესაც ხოლერიკს დაელაპარაკებიან. პირველად “თქვენ” მის-თვის შეადგენს ეპოხას. “რადგანაც გელვიგი არისტოკრატებზედ სწერს, “თქვენიც” იმათში იხმარება, მაგნაირი ქცევა სრულებით არა სუფევს ჩვენ დაბალ ხალხში და მაშასადამე არამც თუ ეგ როდისმე გამახარებდა, არამედ კიდენაც გამაჯავრებდა. მაგის

მზგავსი კი იყო. სახლში ყველა ბავშვებს თითო სტაქან ჩაის მეტს არ გვასმევდნენ: “პატარები ხართო.” ამისთანა არა მწყინდა რა, შურით უყურებდი ჩემზე დიდებს, რომლებიც ორ სტაქანს სვამდნენ. ღმერთს სულ იმას ვეხვენებოდი, რომ ჩქარა გავზრდილიყავ. და ეგები მაშინ შემოეძლიათ ორი სტაქანი. როგორც სასმელი ეხლაც კი მეჯავრება და ვირის ფსელს უძახი. თერთმეტ-თორმეტი წლის არ ვიქნებოდი, როდესაც ხშირ-ხშირად დავდიოდი ბრეთში ბიძებთან. კალოს ხალხს რომ ვხედამდი, მეც არ მინდოდა უკან ჩამორჩომა და ხან ფინალს დავავლებდი ხელს და ვანიავებდი, ხან არნადით ბზეს ვხვეტდი, ხან ვაცხავებდი, მაგრამ ბიძები არ მაძლევდნენ ნებას: “კაი მქნელი იყვე, მამა შენი არ გამოგზავნიდაო.” ასე ვწითლდებოდი, ისე შემრცხვებოდა ხოლმე, რომ მეგონა დედამიწაზედ აღარა ვარ მეთქი. ეგები იმას ნიშნამენ, რომ ხოლერიკს სრულებით არა სურს დიდებისგან ჩამორჩენა.

ც. 60. “ყველაზე ძრიელ უყვარს ცხენები და მშვენიერი იარაღი და სურთ უთოოთ გახდეს ან ჯარის კაცი, ან კარგი მონადირე.” ესები სულ წმინდათ ჩემს გულითად ნატვრას და ოცნებას შეადგენდნენ. ამ ნატვრას ვერც ვერავინ მიმიხვდებოდა, სულელი ხომ არ ვიყა მეთქვა ვისთვისმე. სიცილათ არ ეყოფოდათ: ჩანჩურა ღვდლის შვილს დახე რეები ნდომებიაო. მოვახელებდი თუ არა დროს თავისუფალს, დავიწყებდი ფიქრობას, თუ როგორ ალექსანდრესაც¹⁶⁰ ვაჯობებდი ნაპოლეონსაც¹⁶¹ და ყველა გმირებსაც საშუალოსაც აღარ ვჯერდებოდი. ისეთი მინდოდა, რომ ყველას ჩვენთვის ცქერა დაეწყო და გაკვირვებოდათ. ყვითელი ეპოლეტებიც¹⁶² ძაან მიზიდამდნენ. სწორეთ რომ დიდი იყო პატივ-მოყვარეობა! მონადირობაზე ხომ რაღა გითხრათ. სულ იმასა ვნატრობდი, რომ მონადირულათ როდისმე მლირსებოდა თავის გამოწყობა და ამერიკის დაბურულ, გაუვალ ტყეებში ხეტიალი, ზოგჯერ მშიერი, ზოგჯერ მწყურვალი და რა ბევრს გაჭირვებასაც გავივლიდი, იმდენი უფრო მესიამოვნებოდა. მონადირის გმირებზედ ათასჯერ უფრო მეტი გადაჭარბება მინდოდა. რობიზონიც ძაან მიყვარდა. ც. 61. “თავის სურვილის ასასრულებლად ყვირილით და ღმუილით დაეცემა პოლზედ, დაიწყებს ჭკუაზედ შესვლას და შინებას თავის მოკვლით.” ზემოთებზე კი რა მოგახსენოთ, მაგ ბოლოზე კი ცოტაოდენი ვიცი. ერთხელ მე და

დედა წვერში სერზედ ვისხედით და გადავცექეროდით მშვენიერ ყანებს, მწვანეთ მობიბინეებს. გაზაფხულის პირი იყო და ფრონე იქაურობას გლეჯდა. რაღაზედაც გაჯავრებული ვიყავი სახლში და დედას უთხარი, ეხლავე გავქანდები ჭალაში და წყალში თავს დავიღრჩობ მეთქი. საშინელი პასუხი მომცა დედაჩემმა: “ბევრს ვინაღვლი: ისე ჩაგფლამთ, როგორც დამღრჩვალ თხას.” დედა რას წარმოიდგენდა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ხუმრობამ თავის შაშაზედ. სულ მოვიკეთე, შემრცხვა და არ ვიცოდი რა მე-ქნა. მიტომ მოვიგონე თავის დახრჩობა, რომ შეშინებოდათ, ჩემ წინ მუხლი მოედრიკნათ და აი რა მითხრა დედამ. ამ ფიქრებმა თაბრო დამასხეს, გამამწარეს, როგორც ნამდვილი ხოლერიკი და სიბრაზით ქვებს დაუწყე სროლა. რამდენიმე წლის შემდეგ დედას რომ მოვაგონე ეს ამბავი, სიცილით მითხრა: “აი შე ჭინკავ, გული გამიხეთქე მაშინ.” ეს სიტყვები კი სწორეთ გითხრათ მიამა. CT. 61. “პატივების თხოვნა ხოლერიკს არ უყვარს; ის ამას თავის დამ-ცირებათ სთვლის.” რამდენი მაგალითი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში (ყმანვილობაში) ამნაირი, ვერც კი მოვთვლი! ერთხელ სა-დილიდან ბევრი ტიტინისთვინ სტუმრებთან მამა ჩემმა მითხრა: “ბევრს ნუ ტიტინებ, თორემ კარში გაგაგდებ.” მეწყინა, როგორ თუ ეს მითხარი მეთქი; და მოვუსვი გარეთისკენ. მერმე სულ უბრალო რამესთვინ გამაგდეს: ბიჭსაც მიეცით საჭმელი მეთქი. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა! სულ ღმერთს ვეხვენებოდი, რომ ან ახლა დამიძახონ, ან ახლაო: შაშა შემოდიო, მაგრამ არ დამიძახეს. საკმარისად მოტყდა ჩემი თავმოყვარეობა! მეორეთ სტუმრებთან ტახტიდან გადმოვგორდი და იმ დღეს შინ აღარ შევსულვარ. ჯონჯლი გვერდაში ვეგდე. უბრალო რამები რომ გავეჯავრებინეთ შინ, სახლში აღარა ვდგებოდი. ერთხელ მთელი ლამე ხეებში ვეგდე კოკოზაანთ კალოზედ, მეორეჯერ გოდორში გავათიე ლამე მაჭარულის ბოსელში. ერთხელ შინიდან წასულს გაბრაზებულს პური მომშივდა. შინ დაბრუნებას და პატივების თხოვას გარეთ მთელი დღე ვეგდე სიმინდში და იმდენი მაყვალი ვჭამე, რომ კინაღამ მოვკვდი. მახსოვს ბარე ორჯერ მომტყიპა მამამ და ცემის დროს ერთხელ არ შევხვენივარ მეყოფა მეთქი. უფრო ვჯიუტობდი. ცემის შემდეგ, წავიდოდი სადმე, ჩავწვებოდი მიწაში და იმის თხრაში და ფეხების წნევით ვინელებდი

ჭირს. როცა კი გარეთ ვერ წავიდოდი, გავწვებოდი ტახტზედ და დავიყრიდი მუთაქებს. როცა ლამაზად გავიმართებოდი, მოვყვებოდი მერმე ღმუილს, სანამ არ შემეხვეწებოდნენ დაჩუმდიო. ერთხელ შეკლაში თოვლისაგან გახურებულ და გაწითლებულ ხელებზედ ბარე ოცი ლინეიკა მითავაზეს და ხმა არ ამომილია, თუმც ჩემი ტოლები ტიროდნენ და წელში იგრიხებოდენ. ეს ამბები თერთმეტ წელსა არ გადმოცდიან. ც. 61. “იმას (ხოლერიკა) სურს ყველაფერში იმოქმედოს დამოუკიდებლივ, იყვეს ყველაზე მაღლა და გამოიჩინოს თავი არა თუ მარტო არაჩვეულებრივი საქმეებით, არამედ უდიდესითაც.” ეს ისე ყმაწვილობაში არ შემიმჩნევია, როგორც ეხლა ვხედამ. სწორეთ რომ სურვილი მაქვს ყველაზედ მაღლა ვიდგე, მაგრამ რითი? ჩინებით და ტიტულებით კი არა, დიდი სწავლით და განათლებით. ეხლავე ვეპირები ლიტერატურას და მწარედ მინდა გამოვიჩინო თავი. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ აჩქარებით საქმე არ გაკეთდება, რომ ზოგი თავის თხზულებას ათი-თხუთმეტი წელიწადი მონდომია და კარგიც მიტომ ყოფილა, თუმცა ვამბობ, ესეები ვიცი, მაგრამ ლიტერატურას ძრიენ ველტვი.

ც. 62. “პატარა ხოლერიკა ან სრულებით არ უყვარს წიგნები და ეზიზლება ისინი, ან ისე შეიყვარებს, რომ სულით და გულით ეძლევა სწავლას და ყოველთვინაც ვერ ინარჩულებს მეხსიერებაში წაკითხულსა.” ჩემზედ ითქმის მხოლოდ მეორე ნაწილი ციტატისა. ისე მიყვარდა წიგნები, როგორც ღმერთი. არა ერთხელ უთქვამს ჩემ საყვარელ ბიბლოტეკარს ზ.მგალობლოვს, რომ ბევრს ნუ კითხულობ, თორემ ისევ მალე დაგავიწყდება და ვერც საკმარის სარგებლობას მოგიტანსო. დახსომებაზე კარგს ვერას ვიტყვი. ბევრი მავიწყდებოდა, როცა ჯეროვანის ყურადღებით ვერ წავიკითხამდი ხოლმე. ც. 62-63. “ამ ტემპერამენტის გარეგან წიშნებათ ჩაითვლება: ცოცხალი შეხედულება, წარმოსადეგი ტანი და სხ.”. შეხედულება მე მგონი ცოცხალი მაქვს, მაგრამ წარმოსადეგ ტანში კი ვეჭვობ. არც ის ვიცი ერთხელ ჩემმა ძმამ რისთვის მითხრა თამაშის დროს: ამ ბიჭს საშინელი მეომარის გული აქვს. ამით ვათავებ საუბარს. რასაკვირველია მე მარტო ხოლერიკი არა ვარ, სანგვინიკურიც ბევრი მოიპოვებოდა და მოიპოვება, მაგრამ ზემოთ მოყვანილნი უფრო ცხადნი არიან. მე-

ლანხოლიკურიც და ფლეგმატიკურიც მოიპოვება, მაგრამ ძრიენ ცოტა იქნება. მაშასადამე ჯერ ხოლერიკული, მერმე სანგვინიკური, შემდეგ მელანხოლიკური და ბოლოს ფლეგმატიკური.

11 აპრილი. შაფათი. საღოლაშენი.

ლოთებმა იციან: ‘ისევ და ისევ ღვინითა, დროც გავატაროთ ლხინითა.’ მეც ამას ვიტყვი: “ისევ და ისევ შენ ჩემო დღიურო, თორემ სული მიგუბდება. შენ ხარ ჩემი ნამდვილი, გულითადი მეგობარი და ძმა.” შენ თუ გამოგელაპარაკები გულ გახსნილი, თორემ სხვასთან ვერ ვბედამ. ერთის თვის განმავლობაში სულ ლაჯების ქვეშ გატარებდი; ხომ იცი გიფრთხილდებოდი, ვაი თუ ან ხეპრეს ხელი მოგხვედროდა, ან თვალი გცემოდა, ან ცუდ ქარს დაეკრა, ვინ იცის ყველას უნდა მოელოდეს კაცი!” პირველ მარტიდან გულგახსნილი აღარ გამოგლაპარაკებივარ, ვაი თუ სტუმრები მეწვივნენ მეთქი და უდროოთ მოგვიღონ ბოლო შენც და მეც! ვინ იცის რამდენი რამე დატრიალდა გულში გამოუთქმელი და ეგ გამოუთქმელობა მახრჩობდა, სულს მიგუბებდა. აი თუნდ ეხლა. მარტობამ ლამის გამაგიუოს. არც გაზეთი, არც განათლებული ადამიანი, რა გინდა ქნა ამისთანა მიყრუებულ ალაგას. რას ვამბობ, განა მართლა აქ სასიამოვნო არა არის რა? განა კაცი გულს ვერ გაართობს? როგორ არა, ბევრი, აი თუნდა ხვალა!: ხვალ არის “აღდგომა”. ეს ორი წელიწადია, რაც მეცინიკურათ უცქეროდი ამისთანა ხალხურ დღეობებს, მიმაჩნდა სისულელეთ, ასე გაშინჯეთ მე და ჩემი ძმა ლიტონიაზედაც არ წავიდოდით ხოლმე. მაგრამ ეს ჩემის მხრით სულელობა ყოფილა, სხვა არაფერი! განა ხვალინდელ დღეს კაცი არ უნდა დაესწროს ლიტონიას და წირვას? ეს დიდი თავხედობა იქნება! მითომ რათაო, მკითხამს ზოგიერთი, კაი ძილი არ სჯობიან, დილით იქ ხეტიალს. არ ვიცი სხვას როგორ, და მე კი სულელურად მიმაჩნია ეს. ხვალ, აღდგომას ნახამთ ქართველ გლეხობას, რომელიც ბავშვივით უდარდელათ რამდენიმე წუთს მხიარულებს, მისცემია თავის მწარე ბედის დავიწყებას და წითელი კვერცხების კაკა-კუკმი ართობს გულს. სიამოვნებით უცქერი მაგათ წრფელ, გაურყვნელ სახეს, მაგათ უბრალო ტანთ საცმელს, ახალგაზრდების წითელ

გულისპირს, ბავშვების ჟივილ-ხივილს! ახალი პატარძლები! რაც კი რამ ძვირფასი აქვთ მოყოლილი მზითევში, სულ დღეს იცმენ. გულს მილბილებს ამ გმირების ლვთის მოყვარეობა. აი წინ სტოლზედ, სადაც ამასა ვწერ, მიწყვია სამთლები და ორი მანათი. დღეს ამაზედ მეტი ვერ გაყიდა მამაჩემმა სამთელი. მე მგონი ეს ოფლით მოხვეტილი დასძლევს მდიდრის ათას თუმნებს. ხვალ უთოოთ ლიტონიაზედ უნდა წავიდე. სამთელიც უნდა ვიყიდო ხელში დასაჭერი და ჩავდგე იმათ გუნდში.

ღმერთი კი ხელს არ გვიწყობს და! ძრიენ ცუდი დარია! თითქოს მაგასაცა შურს ჩვენი ერთის წუთს გაბედნიერება.

16 აპრილი. ხუთშათვათი. სალოლაშენი.

წაშლილია სამი დღეობა ზედი-ზედა!: აღდგომა, გარეგნობა და სამებობა, მაგრამ რა გინდა ქნა, არც ღმერთი გვიმართამდა ხელს, არც ბუნება! საძაგელი ამინდები იყვნენ. ჩვენ მაინც ჩვენი არ დავიშალეთ. ლიტონიაც შემოუარეთ, ბრეთსაც და სამებობასაც ვიყავით. ხოლოთ, როგორც იმედი მქონდა, დართული ქალები და პატარძლები ვერა ვნახე. ალბათ თუ შეეშინდა, რომ ქარს არ აეცლია ფერუმარილი და წვიმას არ ჩაერეცხა ლოყები! საშინელებაა ღმერთმანი. რა ნაირათ გავფუჭდით ფიზიკურათ! სადღაა ჩვენი სილამაზე, რომელიც ანგრე გათქმულია მთელს ევროპაში. მთელი მაზრები რომ დაიაროთ, ორ სამ ლამაზ ქალ-ვაჟს ვერ იპოვნი. უნინ კი ამ 40 წლის წინეთ არამედ თუ თავადობაში, სადაც ყოველ დიდ ოჯახში ერთი «красавица» მაინც მოიძებნებოდა, გლეხობაც კი არ იყო მოკლებული სილამაზეს და გრაციოზნულ ტანსა. პირობები ცხოვრებისა შეიცვალა, და სხეულსაც ცუდი დარი დაუდგა, თუმცა არც სულისთვინ მოახლოვებულა აღგომა. უნინდელ დროში თავადის ოჯახში ვაჟები ნადირობის და ჯირითობის მეტს არას აკეთებდნენ, და ქალები ოქრომკერდების და სხვა და სხვა უსარგებლო ნივთების გაკეთების მეტს არას კისრულობდნენ. დაუმატეთ ახლა, რომ მთელს დღეს თამაშობაში და ერთი ერთმანეთის მოწონებაში ატარებდნენ და რასაკვირველია ყოველი მათგანი ცდილობდა ყოველის ღონისძიებით შეემუშავებინა თავისი სახე და სხეული. ანგრეთვე გლეხობაში, თუმც

მაგგათვისაც ცუდაობა ციურს კანონში არ გახლამთ ჩაწერილი და მე მგონია გვიანაც იქნება. მაშინდელი და ეხლანდელი მოთხოვნილება სულ შორი-შორს არიან. ქალს იმდენათ არ უჭირდა, რომ გასულიყო მინდორში და ემუშავნა. კიდეც რომ გასჭირებოდა, ვერ წავიდოდა, რადგანაც აზიური ჩვეულებანი ამას გაჰკიცხამდენ. მოვიდნენ რუსები თავიანთი შეხედულებებით ქალზედ და ამ ჩვეულებას თან და თან ბოლო ეღება. ეხლა ჩვენი ქალები სრულებით აღარ თაკილობენ მუშაობას. იმას ვამბობდი, რომ თუმც გლეხის ქალები მაშინაც მუშაობდნენ, მუშაობდნენ მხოლოდ სახლში და ეხლა კი სრულებითაც არ ერიდებიან არც პაპანაქება მზეს, არც სუსხ მტვრიან ქარს. ტანის და ლოყების სიფუფუნეს ანგრე რიგათ აღარ უფრთხილდებიან.

ეს ყველაფერი ესტე, მაგრამ მე სრულებით ეს არა მქონია სახეში ჩასაწერად; მე მინდოდა მომეხსენებინა ისა, თუ რა შტაბეჭდილება მოუხდენია ხემწიფის სიკვდილს ჩვენ სოფლურ საზოგადოებაზედ. ამ სამ ოთხ დღეში სუყველას, ე.ი. გლეხებისასაც, აზნაურებისასაც და თავადისასაც გულის ცემას უგდებდი ყურს და სწორე გითხრათ დიდი გულ გრილობა შევნიშნე მათში. თავად-აზნაურობა ნიშანს არ უგებს და გლეხობა თავს არ იხეთქს თავის განმათავისუფლებლის ანგრეთ სიკვდილზედ. გლეხობა სწორეთ ცხვრები არიან. საითაც გინდა (მარტო ღარიბებს) იქით მისწევ. (საშინელებაა გლეხი ვაჭრის გზით გამდიდრებული!) ბევრგან ვაქე კიბალჩიჩი¹⁶³, სოფიო¹⁶⁴ და უელიაბოვი¹⁶⁵, ისე თანაუგრძნობდნენ, როგორც თვითონ სოციალისტები. აქა ვწერ, რომ ვაქებდი მეთქი. ეხლა რომ გაჩნდეს ერთი ჩლატიანი პოლიციელი, წამავლებს ხელს და ვინ იცის სად გადამკარგამენ და გამოშვების დროს ოდესმე უთოოთ ძალა უნებურათ სოციალისტი გავხდები. აფსუს ბიჭებო, რომ თქვენ დაიხოცენით და თქვენ მაგიერ რამდენი ძალლი დარჩა!

17. ¹⁶⁶ როგორც ეტყობა ველარას ჩავწერ ამ თვეშიაც. ხვალზეგ ქალაქს მივდივართ, ვნახოთ რა იქნება.

ვაიმე დედა, გიგასთვინ კაპეიკი არ მიმაქვს! ხათაბალაა ღმერთმანი, საიდ ჯანდაბიდან უშოვო ფული.

19 აპრილი. კვირა. საღოლაშენი

საღამოს პოეზიი ორთქმავალისა¹⁶⁷ ჩამიტანს თბილისში. საშინლად მენანება ეს ჩანჩურა საღოლაშენი, ასე მგონია ვეღარა ვნახამ მეთქი. მეზარება თბილისში ჩასვლა და სწავლის გაგრძელება. განა როგორი სწავლისა? ძალდატანებითი სწავლისა. მერმე ბურსის ჰაერის ყლაპვა?! მეტი მეტი რამ არის ეს ბურსა?! საშინელი დიდი და გაზვიადებული ყველაფერი მანდ მოიპოვება: სიკარგეც და სიბილნეც. ამ ორი კვირის წინათ მე კიდევ ვიყავ მოწამე ერთი ბურსაკულის საძაგლობისა. მეექვსელებს დაეყენებინათ ბიჭი ყარაულათ სტალოვიაში თავიანთი სტოლისთვინ და ეს ყარაული აღბურვილი მომეტებულის ერთგულებით აგროვებდა კაი ნაჭერს სხვა სტოლებიდან და აწყობდა თავის პატრონების სტოლზედ. ამ არა საჩინო და პრინციპში საძაგელ საქციელმა მეექვსელებისგან აგვამდვრია ჩვენ. აი რა ნაირათ დაეცნენ! თვითონ კი ქონდეთ, თორემ სხვა ფეხებზედ კიდიათ! უწინ ანგრე როდი იყო. თუ მართებლობა წესისამებრ არ იქცეოდა, თუ ცუდ საჭმელს გვაძლევდნენ, ან მდარე ტანისამოსს, ან ეკონომი ცულლუტობდა, ან მასწავლებლები გვავინროვებდნენ, პირველად ისინი ალიჭურვებოდნენ ხოლმე და იბრძოდნენ რამდენათაც კანონი ნებას აძლევდათ. ეხლა? მე კი ვიყოვო და შენ ფეხებზედ მკიდიხარო. აი რისთვის არ მინდა ბურსაში ჩასვლა, რომ ყოველ ნაბიჯზედ საძაგლობის მეტს ვერასა ნახამ. მაგრამ რას იქ. დრო მოვა და უნდა აიბარგო და გასწიო. სიზმარშიაც კი დამინყო მოლანდება ამ ბოლოს დროს თბილისმა¹⁶⁸ თავის არემარეთი. ხან მასწავლებლებს ვნახამ, ხან წიგნებს და ხან კიდენ ამხანაგებს, როგორც წუხელის ვნახე რატისშვილი. ამ წასვლაზედ ერთი კიდენ მინდა მოვიგონო ჩემი სოფელი საღოლაშენი. გუშინ გლეხურ ნათლობაში ვიყავი. ნათქვამია: მელას რაც აგონდებოდა, ის ელანდებოდაო. სწორეთ ამ გლეხების საქმეც ეს არის. თემა მაგათის მუდმივიდ ლაპარაკისა არისა: ნადილები, ტყე, კარგი ხარკამეჩი და ფოშტის ფული. გუშინ კი ბატონყმობაზე გახლდათ ლაპარაკი. სადილზედ მომეტებულათ მოხუცნი იყვნენ. სარამ დათვრებოდნენ რაღაც-რაღაცებზედ ვლაპარაკობდით, მერმე რაკი შეზარხოშდნენ, მოიგონეს მწარე თავისი წარსული, მაგრამ არც

ახლანდელს შეხარიან. მართლაც მწარე იყო ამ გმირების პედი ამ ოცის წლის წინათ. ყოველმა მათგანმა თითო დაუვიწყარი სცენა სთქვა თავის ცხოვრებიდან. დალაქმა სთქვა: ჩვენისთანა ლვთის ნიერი ბატონი ოც სოფელში არავის ეყოლებოდაო. ალუბალს, თუ მანგლის შვილს გაგზავნიდა და მის სამგზავროთ ხუთი მანათი¹⁶⁹ შემანერაო. თუმც სხვა ბატონები ბევრჯელ ხუთ-ექვს თუმან-საც¹⁷⁰ ანერდნენ, მაგრამ მაინც გავკადნიერდი და არ მივეცი. რაკი „ტრალალა და პუბლიკაცია“ დაკრეს რაღათ ვემსახურები ბატონს მეთქი! ტრალალას და პუბლიკაციას გახსენებაზედ მე ხარხარი დავიწყე. დალაქმა ამიხსნა, რომ ბატონყმობის მოსპო-ბა პირველად სიონში რომ გამოაცხადეს პუბლიკაცია ქნეს და დალაბანდს¹⁷¹ უკრამდენო.

„დღიური“ ერთი სემენარიელისა.¹⁷²

1881 წელსა. 24 აპრილსა.

23 აპრილი, შაფათი, თბილისი.

აგერ ბურსაკები ჩვეულებრივ მეორე პერემენაზედ დადინ ბალკონზედ, ზოგნი მართლა ისვენებენ, ზოგნი კი გაკვეთილებს იმეორებენ. მაღლა კრიშაზედ მოჩანს რამოდენიმე მუშა, კრასილშჩიკები. ზოგი მათგანი თითქოს შურით ხანდისხან გადმოგვხედამენ ხოლმე. ნეტავი კი ვიცოდე, რას ფიქრობენ ეხლა ეგენი ჩვენზედ? ეხლანდელ დროში ყველამ იგრძნო განათლების გემო და ყველაც ყოვლის ღონიძიებით ელტვის მაგას. ეს მოძრაობა დიდი ხანია გლეხობაშიც დაიბადა, მაშასადამე ეს ღვთის მუშები უშუროთ როგორ შემოგვხედამენ ჩვენ? ჩვენ მდიდრულად დავსეირნობთ ბალკონზედ, საყვარელ სწავლაში ვართ, რომელსაც ბევრი ჩვენგანი რასაკვირველია უღალატებს პირველ მცნებას მეცნიერებისას და მაგათ შველის მაგივრათ, მაგათვე მოახრევინებს კისერს. ან რა კაკები ვართ ჩვენა, რომ ჩვენ განცხრომით ვსწავლობთ, და ეგენი კი სიცხეში ოფლს იწურენ ჩვენივე სახლის დასამშვენებლათ; რომ სრულებით არა აქვთ მაგათ ვალი გვზარდონ ჩვენ, ახალი განათლებული ღვდლები, რომლებიც უფრო “დელიკატნურათ” დასხდებიან მაგათ შვილების კისრებში, ამას განმარტება აღარ ეჭირვება. ღმერთო ჩემო, რა უბრალო გასაგებია ის სიბრძნე და ჭეშმარიტება, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა თავისი ნაშრომი თვითონვე უნდა მოიხმაროს, მაგრამ ისეთ ნაირათ არიან დამყარებულნი გარემოებანი, რომ მომეტებული ნაწილი კაცობრიობისას ან არ ეყურება, ან ძალათ არ აგებინებენ. ამ დღეებში რამდენიმე ჟელიაბოვის¹⁷³ ნაწერები მომხვდა როგორლაც, წავიკითხე და ცხადად დავინახე ის გაუგებრობა მუშა ხალხისა, რომელზედაც გვაქვს ლაპარაკი. საწყალი წამებული რანაირათ იბრძვის, რომ დაანახოს ხალხს, რომ ბიჭო, გაიგე შენი შრომა სად მიდისო და ანგარიში მოსთხოვე მათ, ვისაც აძლევ მაგ შავი ოფლით მოპოვებულს გროშებს.

რაში გახმარებენ. მაგრამ ვერა. არამც თუ რუსულს მუშას ვერ შეუთვისებია ეს აზრი, არამედ ევროპულ მუშებსაც ვერ გაუხორცებიათ ეს აზრი. მაშ რა დაგვრჩენია? Сиди у моря и жди погоды!.. ე, არც ასე იქნება. თვითონ არაფერიც არ მოვა რა! ხათაბალაა, მაშ რაა ბიჭო! თქვენმა მზემ მეც არა ვიცი რა.

ხომ იცით ახალგაზრდას მალ მალ ეცვლება აზრები და მეც ამ დილათ ლირსოვან საგანზედ მტკიცე, საფუძვლიანი აზრი არ შემიღენია. ეს ხუმრობაც არ არის. ჯერ ბევრი, ბევრი ვისწავლო და მაშინ ვიპასოთ დღიურო.

6 მაისი. ოთხშათათი.

დღეს გიმნაზიელებთან ვიყავი და სწორეთ გავიხარე იქ ყოფნით. სამი ოთხი საათი მშვენიერ საუბარში გავატარეთ. ჯერ კარგათ არ ვიცნობ და ვერცა რას გადაწყვეტილს ვიტყვი მათზედ. სხვა და სხვა ხალხოსნობის, ანუ ნაციებისგან შევდგებით, სომხებიც იყვნენ, ქართველებიც, რუსებიც, მაგრამ არა უჭირს რა. ახალგაზრდას არ უღირს ძვირათ ნაციონალობა, ის ისე სასტიკათ გაკიცხამს ნაკლულევანებას თვისის ერისას, როგორც სხვა ხალხის მწერალი. სიამოვნებით და ხარხარით დავტკპით, როდესაც ძველ სოვრემენნიკში¹⁷⁴ წავიკითხეთ ნ. ჩერნიშევსკის¹⁷⁵ წერილი ზარინთან¹⁷⁶ მიწერილი. რა ძალა კალმისა, სიტყვისა, რა პატიოსნება იხატება ამ პატარა წერილში?!.. აფსუს პატიოსანო, თეთრო მოხუცო, ახალგაზრდობის პაპავ, რუსეთის ნათელავ და კაცობრიობისთვის წმინდა აზრის და პატიოსნების დამცველო გმირო, შენ უნდა წამებული იყვე და ბევრი შავი ძალები კი ღვთის ნათლით სტკბებოდნენ და ქვეყანას უცქეროდენ!.. მერმე დაიწყო კითხვა ჩვენმა ლეკტორმა მეხუთე თავი (თუ არა ვცდები) პირველი ტომას ბოკლისა, რელიგიის გავლენა კაცობრიობაზედ¹⁷⁷. ვინც ჩემს დღიურს წაიკითხამს, იმან უთოოთ უნდა იცოდეს შინაარსი, თუ არა და ნუ წაიკითხამს. ხომ იცით მანდვე არის მოხსენებული, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ ვერ მოიკიდა ფეხიო გაუნათლებელ ხალხშიო და შეუმუშავებელ ნიადაგზედო. იქ მხოლოდ გარეგნობა მიიღეს ქრისტიანობასა, დაურთეს ზედ წარმართული ცრუმორნმუნეობა და შეთითხნეს ისეთი სჯულები, რომლებიც სრულებით არ ემზგავსებოდნენ წმინდა ქრისტეს სარწმუნოებას. საქმე იმაშია, რომ მანდ ორი სემენარისტი ვერიეთ და თითქმის ჩვენი გულითვინ წაიკითხეს ამ საგანზედ. დიდხანს ვიკითხედ გულიანად და ბოლოს რაღაც წაირათ შეეხო კითხვა ქრისტეს ქადაგებას, მის ვინაობას და სხ.

შემარცხვინა ჩემმა ამხანაგმა (რ.) გიმნაზისტებში. იმათ ჩვენზე ნაკლებ იციან სამხთო წერილი და ჩვენგან მოელოდნენ კარგი აზრების წარმოთქმას, მაგრამ იმათ გვაჯობეს. უფრო ნათლად უსცეროდენ საგანს, სარამ ჩემი მეგობარი. ისინი ამბობდენ: ქრისტე ქადაგებდა თავისუფლებას, ერთობას და მისი ქადაგება მთლად ეწინააღმდეგებოდაო მაშინდელი წარმართი ხალხების აზრებს ცხოვრების შესახებო. ასე გაშინჯეთ პლატონსაც¹⁷⁸ ვერ წარმოედგინა რესპუბლიკა უტყველებოთ და ქრისტე კი ამბობდა, რომ ღმერთის წინაშე ყველანი ერთი ვართო. ჩემი სემენარიელი კი მოყვა ნამდვილ ტეოლოგიურად სჯას. თქვენ არ გეყურებათო, ქრისტე მაგას თავის დღეში არ ქადაგებდაო და დაიწყო თვისი დამტკიცებანი ტექსტებით და წმ. პავლეს აზრებით. მერმე გამართეს ატეისტური ბაასი, სემენარისტი ზორბათ ამტკიცებდა, რომ ქრისტე მარტო კაცობრიობის მხრით არ უნდა გაიხილოთო, რომ ის მარტო მარიამმა შობავო და სხ. გიმნაზიელები ხარხარობდენ და ბოლოს რამდენიმეს თხოვნით შევწყვიტეთ ლაპარაკი ამ უფერულ საგანზედ. მერმე ვიბაასეთ რუსეთში გლეხობის მდგომარეობაზედ, მათ თანამგრძნობთ ფლეროვსკიზედ¹⁷⁹, მორდოვცოვზედ¹⁸⁰ და სხვა. შემდეგ პოლიტიკაზედ, სოციალისტებზედ, კიბალჩიჩზედ და სხვა. ერთის სიტყვით სიამოვნებით გავატარე ეს საღამო და ბევრი ღვარძლიანი, დიდ ხნობით დაგუბებული აზრები წარმოვსთქვი. თუ დიდი ხნის გაცნობის შემდეგ ეგენი კარგი ბიჭები გამოდგნენ, უეჭველია შევიკრიბებით ერთათ და დაუწყებთ ბრძოლას უსამართლოებას.

წრფელის გულით მეხვენებიან გიმნაზიაში გადმოდიო, რომ ერთათ ვიყოთ მუდამ დღეო და შეგეძლოს უნივერსიტეტში შესვლაო. ასე გაშინჯეთ იმ ორ თვეს მომზადებასაც მპირდებიან და უფასოთ შენახვასაც. არ ვიცი ღმერთმანი, რა ვქნა?!.....

7 მაისი. ხუთშაფათი.

დღეს გავათავებ დოკტორ გენრი მაუდსლის¹⁸¹ წიგნს: Ответственность при душевных болезняхъ. საქმე იმაშია, რომ მაგ წიგნში მაუდსლი განიხილამს, რომ ძველ დროში სულელებს სიკვდილით სჯიდნენო, თუ რომ ისინი რასმეს სულელობის დროს დააშავებდენ რასმესო. ასრევე იქცევიან თითქმის ახლანდელ დროშიო, განსაკუთრებით ანგლიაშიო. ამისთვინ რასაკვირველია ის ძრიენ გაკიცხამს იურისტებს უგულობისთვინ და დიდის მჭერმეტყველობით იცავს ყოველგვარ ავადმყოფებს. მართალია მაგათ არამც თუ ბევრი, ცოტაც არ მოეთხოვებათ, მაგრამ რისთვის გვინდა, რომ ისინი შევინახოთ. სულელისგან არაფერი სარგებლობა არ იქნება, მაშ რაღათვინ ვინახოთ ისინი ბოლნიცებში და ვხარჯოთ ფულები? ცოტანი არიან შესანახნი! თვითონ მაუდსლის მოყავს მაგალითები რომ მორჩენის შემდეგ კიდევ უმსხვერპლიათ რამდენიმე პირი რისთვინ უნდა მოხდეს? მეტყვით, რომ ბარბაროსობა იქნება ავადმყოფების დასჯა? თუ კი ღვდლის შვილის დასჯა არ არის ბარბაროსობა, ეგ რაღათ იქნება?.. ამ ბოლო დროს გული მიქვავდება, სამის თვის წინათ ამეებს ვერ ვიტყოდი. საშინელი ცვლილება ხდება ჩემში. ძრიენ დუღდება სისხლი!.... რაღასაც უნდა მოველოდე!.....

10 მაისი. კვირა.

ეხლა გ.სპენსერს ვკითხულობ. და იმდენის დაწერა მინდა ჩემს დღიურში საკუთარი კომენტარიებით, რომ ოცი თაბახიც არ მეყოფიდა, ამისთვინ ძალა უნებუროდ პატარ-პატარა შენიშვნებით უნდა ვიკმარო. ზემოთაც ბევრჯელ მითქვამს, რომ ჩვენი ზავედენიე «закрытое» არის მეთქი და რახან «закрытое»-ა ისე უნდა დაკლიტონ ბარელამაც, რომ უჩებნიკების სულის მეტი გარედან აღარა შემოიპაროს რა. ულოლიკოთ იქცევიან. მაგათ-თვინ არ არის კარგი, თორემ მე რა მღლეტამს. როცა ამას ვწერ მე გავჩერდი 60 გვერდზედ. (воспитание умст. прав и физич.) საცა გასაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყვეს ისტორია. აბა ახლა თქვენ ნარმოიდგინეთ რა გემოთი უნდა შევხედო ხვალ ჩვენ დორბლიან

ისტორიის მასწავლებელს, რომელიც ყოველ სიტყვას ლუკმა პუ-რივით ღეჭს და ილოკავს? რა საკვირველია ზიზღით და გულის რევით. როგორც ამბობს სპენსერი, გათავდა თუ არა ეგზამენები და გავსწემ შინისკენ, ისე გამოცვივიან ეგ სახელები თავიდან, ისე დამავიწყდება და გაქრება ყველაფერი უჩებნიკებიდან შეძენილი, როგორც შარშანდელი თოვლი! წუხელის ვილასთანაც ბაქრაძე¹⁸² კარგათ გავლანდე. არა წერს ისტორიას და როგორს? ეს კაპპა-დოკიაო, ეს პონტოი, არმენიაო, ძველი და ახალი გამოკვლევაო, და კი არაფერი გამოიკვლია.

7 მკათათვე. სამშაფათი. ს. სალოლაშენი.

შეგირდები კანიკულებს ისე მოველოდებით ხოლმე, როგორც ფოთლებ გაყვითლებული და თავ ჩაქინდრული სიმინდი დგრია-ლა წვიმებს. რისთვინ? მისთვინ, რომ ეხლანდელი შკოლები უსარგებლოთ გვლალამენ ფიზიკურათაც და გონებითაც. ჩვენი ეხლანდელი შკოლები ისე უზომოთ გვლალამენ, რომ თავისუ-ფალ სწავლის შეძენის სურვილს ზოგს სამუდამოთ უკარგამს. აი თუნდ მე. აგერ ერთი თვეა, რაც ეგზამენები გავათავეთ, და ძლივს დღეს მომივიდა სურვილი დღიურში რისმეს ჩაწერა. მა-გრამ რა ჩავწერო? სულ უსიამოვნო, და უსიამოვნო.. ერთი ნამ-ცეცს ვერა ვხედამ სასიამოვნოს ჩვენ ცხოვრებაში. სულ სისა-ძაგლე, სილარიბე, უსამართლოება და გარყვნილება. ამაებისგან თვალების მოშორება რომ გინდოდეს, ერთს მუჭა ადგილს ვერ იპოვი თელ დედამიწაზედ, რომ ერთს წამს თავი შეაფარო. რუ-სეთში გარყვნილის უგუნურებით დაღუპამენ ახალგაზრდობას, რომ პატიოსან კაცს გული დაეთუთქება, დაბალი ხალხის სისაწყ-ლეს გულგრილათ უცქერიან და მინისტრების გადასკუპი-გად-მოსკუპების მეტს არაფერს აკეთებენ, თითქოს იწილო-ბიწილოს თამაშობდენ, ჩვენი ახალგაზრდობა, მაღალ სასწავლებლებში სლავიანფილების¹⁸³ გზას დადგომიან და სხვადასხვა. რამდენ ერთს ჩამოვთვლი და ან რა საჭიროა. ვინც ბრმა არ არის, ყვე-ლა კარგათ დაინახამს რა საძაგლობით სავსეა ქვეყანა და რა უსამართლოთ კერძოთ ჩვენ გვექცევიან ჩვენი მფლობელები. სჯობს დაუბრუნდეთ ისევ ჩემს შთაბეჭდილებებს. გავათავე თუ

არა საზარელი ეგზამენები (ერთობ) გული სიხარულით ამევსო და ვნატრობდი ჩქარა შინისკენ წამოსვლას, რომ დავმტკბარიყავ ბუნების სიმშვენიერით, დამესვენა სულით და გულით. მაგრამ რა დაგასვენებს, როდესაც სხვისი ჭირი და უბედობა პოულობენ შენს გულში ალაგს, ან რა დროს დასვენებაა, თუ ლმერთი გნამს, როდესაც სხვა ოფლს იწურამს! გამოვცდი თუ არა მტვრიან თბილის თვალწინ წარმომედგა საშინელი ბრძოლა ბუნებასთან, რა არის ეგები ბევრი დასტყუონ ამ საყოველთაო დედას ჩემი და შენისთანა უსაქმურების გასაძლობათ, მკითხველო! ჩვენსა რომ მოვედი ჯერ მკა არ იყო დაწყობილი, მაგრამ ჯერ არც გუთანი გამოშვებულიყო და არც თოხნა გათავებულიყო. ხვთის მადლით ეხლა მკასაც მოვრჩით და ახლა ლენას შეუდგებით. მოსავალი ურიგო არ იქნება. მაგრამ ვაი შე საცოდავო გლეხკაცო, რომ “შენს გაჩენაში ლმერთი არ ურევია” და შენ ოფლით მონაგებზედ სხვებმა უნდა გაიხაროს?!!.. წლითი წლამდინ წელზედ ფეხს იდგამ და ლურჯი ნიფხვის და სხვილი შალის ჩოხის მეტი შენ იქიდგან არა გერგება რა. წელიწადში ორჯერ-სამჯერ ვერ ჩაისველებ შენგნითვე მოყვანილი ღვინით და ვერ გაძლები შენგნითვე მოყვანილი თეთრი პურით, და ვერ ჩაიტკბარუნებ ყელს შენი ცოლშვილის-განვე გაზდილი წვრილფეხობით, და სიბერეში ვერ დატკბები შენი შვილის დიდი სწავლით, მიტომ რომ სწავლის დროს ის უნდა სდევნიდეს თაფლებსა და ლურჯებს, ნიკორა და ლამა კამეჩებს. და შელერების დროს, როდესაც მისი ტოლები “კმაყოფილნის” შვილები ტყავებს აძრობენ იდეალისტებს და მატერიალისტებს, ის ვინც იცის სადა გდია ლამის ხარში, ან რომელ ცივ ქვაზედ უდევს თავი, რუსის მაზარაში¹⁸⁴ გახვეული, ან დაგლეჯილ ჯე-ჯიმში¹⁸⁵!.. დიდ სულოვანო ლამის მეხრევ¹⁸⁶, და თქვენც ქვეყნის გმირებო, გუთნის დედებო¹⁸⁷, რატომ ქვეყანას არა სთხომთ ან-გარიშს, თუ სად მიდის თქვენი უზომო შრომა? რას იქთ, ის გზა საიდანაც შეგეძლებოდა მაგ ანგარიშის თხოვნა, - განათლება-თქვენთვის არ არის და ნებითაც არც მალე ელირსებით. მაშ გაუ-მარჯოს ძალას!.... იმდენი თავისუფალი დრო არა გვაქვს, რომ შენი ცოლ-შვილი, მოკლებული ყოველგვარ სიამოვნებას, ერთი მაინც გაასეირნო ერთ ქართულ დღეობაში და ჩვენ კი “სისხლი პურის ჭამის დროსაც” ბალებში და ვეჩერებში ვკუნტრუშებთ.

გუშინ ღამ ვიყავი ბალში. მგონი ფეხები დაიგლიჯეს ქალებმა და აფიცრებმა მომეტებულის ტანცაობით. ვოენნაია მუზიკა უტკბობდა გულს მოთამაშეებს. ამის ხმაზედ მოვიდნენ საცქერლათ სოფლიდან რამდენიმე გლეხი და მათი ცოლები. ნეტა მაშინ იმათ გულში ვყოფილიყავ და გამეგო დაწვრილებით, თუ რას ფიქრობდენ ჩვენზედ.

11 1/2 ч. веч.

8 მკათათვე. ოთხშათვათი. ს.სალოლაშენი. (11 ч. веч. когда все спятъ, кроме меня).

ლებბოკის¹⁸⁸ თხზულების კითხვაში ვარ ჩაფიქრებული და წყნარ სიჩუმეს ჩემს ოთახში არა ფერი არღვევს. გარედან შემოსული ძალლის ყეფის ხმის მეტი. ფურცლის გადაშლის დროს, უცფათ უნებლიერ ხელზედ დავიხედე, და მის გულზედ რაღაც წითლები გამოჩნდა. გავშინჯე კარგათ და აღმოჩნდა, რომ ბებერები გაჩენილან. ხელები ჯერ კიდენ კარგა თეთრები არიან, მაგრამ ორი საათის მუშაობას კვალი დაუდვია. იმ საცოდავებმა რაღა უნდა ქნან, რომლებსაც წლითი-წლამდინ ორი საათის მოსვენება არა აქვთ და რომლებთანაც მე დღეს ვიმუშავე. მაგრამ ამ მუშაობას ხომ გემო არა აქვს, მიტომ ხომ არა ვმუშაობ, რომ სილარიბე და შიმშილი მაწუხებდეს, არა ისთე, როგორც დილლეტანტი და ფიზიკური ძალის აღსადგენათ, რომელიც საკმაოდ დავკარგე სემენარიის კედლებში, ერთს წუთში ჩემს თითებს ისეთი თვალსაჩინო მეტამორფოზა მოუხდათ და აპა მთლათ წარმოიდგინეთ ფიგურა, რომლებიც ავტომატებივით დილით საღამომდინ ცხელ მკათათვის დღეებში იქნევენ ცელებს! მათ აქვთ ხელები დაბებრებული, სიცხისგან დახეთქილი, რომელშიაც უხვათ ჩადის უსუფთაობა და უანგი ცელისა, როდესაც მას ერთგულათ უგლახუნებს სალესავსა, გულის-პირისაგან გამოსჭუის დამწვარი არამედ მარტო გარედგან, არამედ შიგნიდგანაც გული; გაშუშხული კისერი, რომელზედაც დასტა-დასტათ ადევს ყანისაგან ანავარდი მტვერი; პირის სახე მზისგან დამწვარი და ქოჩორი მტვრით სავსე. მაგრამ შეხედეთ, ეს ბედისაგან დაჩავრილი რა გმირულათ უსვამს ცელსა თავჩაქინდრულ ყანასა, რომელიც შრიალით გულგადაღელი-

ლი ეცემა დედამიწაზედ, რომ იმ ნამსვე ორთითმა და ფოცხმა აღაშენოს მისგან კოხტა ბულული¹⁸⁹!.. მე დღეს საღამოს უამს ჩვენ ყანაში ვფოცხამდი და ამ დროს რამდენიმე მწარე ფიქრებმა არ გამიარა თავში და გულში! სხვათა შორის მომაგონდა ნ.კოლცოვის¹⁹⁰ ერთი სტატია: “დობროლიუბოვი მით არის სადიდებელი ეხლა, რომ მას განუშორებლივ პრიზედ ეკერაო “სერი მუჟიკი”; მან სთქვა, განაგრძობს კოლცოვი, პირველი სიტყვა მომავალი-საო, და პისარევში ბოლო სიტყვა თანამედროვე თავობისაო”. ახლა მეც ვიტყვი: განა ღირსია კაცის სახელისა ის გარყვნილი გვამი, რომელიც ამ ჩვენი ბლეშა გლეხის დანახვაზედ, პირს მოიღმეჭს და არ გაუცინებს გული? არა მგონია. საღამოზედ ყანა გავათავეთ და ჩვეულებისამებრ¹⁹¹ შეკრეს ყანის თავთავებისგან ჯვარი. ჯვარის შემკვრელს ერგება ან ქათამი, ან ერთი მანათი¹⁹². ძველად ბატონ-ყმობის დროს, როცა ჩვენში ძრიენ იყო გავრცელებული მკა, ახალგაზრდები რიგიან ფსონს მართამდენ ჯვრის ქათმებიდგან ესეც, როგორც სხვა ჩვეულებები რუსების¹⁹³ წყალობით; რომლებმაც განათლების მაგიერ «растлевающе вліяніє» მოიტანეს, ისპობა. ბევრი ვეხვენე ჩვენ ბიჭს აეხსნა ჩემთვის, თუ რას ნიშნავდა თავთავების ჯვარი, მაგრამ ვერ მითხრა. შეიძლება ახალგაზრდობით მოუვიდა. მე კი მგონია, ეგ უნდა ნიშნავდეს დოვლათს, სიხარულს და მეორე წლისთვინ დასწრებას, რადგან მაგ ჯვარს ინახვენ ფქვილის გოდორში და ბოლოს პურის თესლში ურევენ.

საღამოზე შინ რომ დავბრუნდი, «порядок»-ის ერთ ნომერში მომხვდა ალაგი, რომელსაც აქ ამოვწერ, და რომელიც ცხადად გვიჩვენებს, თუ რა დიდი ღელე სძევს სიტყვასა და საქმეს შორის.

შეიძლება ჩემ ნაწერებსაც ეგ ბედი ჰქონდეთ. ვინ იცის როდისმე მოხუცმა, ჯავრით დაკოდილმა ან ახალგაზრდამ წაიკითხოს ეს ალაგი და თავის გადაგდებ-გადმოგდებით სთქვას: “ბევრი კარგი ფიქრი ქონია თავში, და საქმით კი ვერას ვხედამთ”. ლმერთმა ამაშოროს ამ სასტიკს და ლახვარივით მწარე სასჯელსა: აი ეს ალაგი: (Порядок № 176, 1881 года ст.4). ქართულათ არ შემიძლიან ისე კარგათ გადმოგცეთ, როგორც რუსულ-შია და ვტოვებ ისე. «Какъ приятно намъ, крестьянамъ, читая газету, становиться, по временамъ, благодаря ей, спиною къ своей

деревенской жизни и смотреть в гору, в высь! Читаешь и радуешься, какъ тужать о нашихъ недугахъ, - о малоземельи, безграмотности, пьянствѣ, плохомъ самоуправлении. Букетами сыпятся на долину нашей крестьянской жизни разныя «предложения» имеющия нась облагодействовать. Но едва лишь освободишься отъ газеты и прямо посмотришь на действительную жизнь – увы! На долине ея не увидишь ни одного цветочка Куда же они девались? А недугов у насъ много, подумать о них следуетъ».

12 часов ночи.

„დღიური“ ერთი სემენარიელისა.¹⁹⁴

1882 წელსა 15 იანვარსა.

15 იანვარი. პარასკები.

ძლივს გული თავის დონეზედ დადგა. და ეხლა მომეცა საშუალება განუზიარო ის ფიქრები და გრძნობები, რომელნიც აღელვებენ ჩემს გულს, ჩემს საყვარელს დღიურს. ხუმრობა ხომ არ არის, აგრ თითქმის შვიდი რვა თვეა, რაც დავივიწყე ჩემი ერთათ ერთი გულის მეგობარი, ერთათ ერთი ამხანაგი, რომელსაც პირმოუთნელად გაუზიარებ ხოლმე ჩემის გულის ნაღველს, მომიტევეთ, ვისაც ეს ჩემი ნაჯღაბი შეგხვდეთ როდისმე, უთავბოლო და უხერხულად გაწყობილი აზრებისთვის და გთხოვთ მუდამ სახეში იქონიოთ, რომ ეს მარტო ჩემთვის იწერება და არა სხვისთვის. რა მიზეზია, რომ ამოდენა ხანია, რაც აღარა ფერი მიწერია დღიურში, როდესაც უფრო ბევრი და ღირსებითაც უფრო კარგი უნდა მეწერა, რადგანაც მე წელს გადავედი მეხუთე კლასში და განა არ მოგეხსენებად, რომ ეს კლასი საუკეთესო კლასათ ითვლება სემინარიაში, რადგანაც მანდ გადიან კარგს საგნებს, როგორც ფილოსოფიას, პსიხოლოგიას და ფიზიკას? თუ რა შვილები ბძანდებიან ეგ საგნები და ან რა ღირსებისა, როდისმე შემდეგში ჩავწერ ამ რვეულში და ეხლა კი მოგახსენებთ იმ მიზეზს, რაიცა მაიძულებდა ამდენს ხანს ისე მუნჯათ ყოფნას. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მე გაცხარებით ვემზადებოდი ამ ოთხი თვის განმავლობაში გიმნაზიაში ეგზამენის მისაცემათ და სუსველამ ფუჭათ ჩამიარა. გამჭრეს მატემატიკაში და დავრჩი რიყეზედ. რომ იცოდეთ რა სულის კვეთა და ვაი ვაგლახი გამოვიარე, მაშინ შემიბრალებთ და შეგიძლიათ თანაუგრძნოთ ჩემს ტანჯვას. ოთხი თვის განმავლობაში იძულებული ვიყავი მეზეპირებინა უხეირო, უსულგულო და ერთხელ ნასწავლი საგნები. უდროობის გამო შუალამისას ვდგებოდი და საშინელის ენერგიით ვიმეორებდი მათ, არ მენაღვლებოდა ჯან-ლონის და ჯანმრთელობის დაკარგვა, ოღონდ მიმეხნია ჩემს მიზნამდინ. ოთხის თვის განმავლობაში მოშორებული ვიყავი ყველას, რაც შეადგენს განათლებული კაცის მოთხოვნილებას: უურნალებს, ხეირიან გაზეთებს, წიგნებს, თეატრს, საზოგადოებას და სხვას. მქონდა მხოლოდ ქართული უურნალი გაზეთები, მაგრამ ეგენი საკმარისნი არ არიან. იკითხამს კაცი: რა გაცხოველებდა მაგ უნაყოფო შრო-

მაში და ან რა გაიძულებდა, ანუ რა იყო მიზეზი? მაცხოველებდა და მანუგეშებდა ის აზრი, რომ ამის საშუალებით მოვყვები უნივერსიტეტში, სადაც ლვივის განათლების და მეცნიერების განუქრობელი წმინდა ლამპარი, რისკენაც ისე მიიღების ჩემი გული, როგორც ანკარა წყაროსკენ ხუთი დღის მწყურვალე კაცის გული. ახლა კი ჯერ-ჯერობით მომეშალა იმედები. ეს დიდი უსამართლობაა ლვივის წინაშეც და კაცობრიობის სინდისის წინაშეც. მე მსურს, მწყურს სწავლა-განათლება; რად მიშლით, რად მიხლართამთ გზას, უბრალო ფორმალურის წესებით რათ გვყრით ჯოჯოხეთში ამოდენა ახალგაზრდობას? იცოდეთ კარგათ, რომ გაბრაზებული, გამწარებული მტარვალების უსამართლოებით ახალგაზრდობა ამას არ მოითმენს და ერთი ორათ მიაგებს სულის ამომხდელებს, გვიან იქნება, თუ მალე. რა არის მიზეზი ამ უგვანო საქმისა და გაბოროტებისა? საქმე იმაშია, რომ ამ სამის წლის წინათ სულ წაწმედილმა, სახელმწიფო მუხანათმა, ბოროტმა, გამოჩურჩუტებულმა, ხალხის ჭკუა-გონების დამბნელებელმა, დამახინჯებულმა გრაფმა ტოლსტოიმ¹⁹⁵, რომელსაც განათლების მინისტრს ეძახდნენ უგუნურები, აგვიკრძალა უნივერსიტეტში შესვლა, თუ რომ ატესტატ ზრელოსტს არ მივიღებთ¹⁹⁶. რა უნდა თქვას კაცმა ამ უაზრო, უგუნურ, მუხანათურს და ბოროტ განკარგულებაზედ კაცმა? არაფერი იმის მეტი, რომ ტოლსტოი უგუნურია და თავისი სული ჩაუბარებია ეშმაკებისთვის, რომელნიც თუმც ბოროტების მიმდევარნი არიან, მაგრამ ამ ბოროტებისთვინ, რომელიც თავისი საშინელებით ყველაზედ უაღრესია, სწენენ მის სულს, როგორც შიმშილისაგან გააფთრებული მგელი ლამე დარჩენილ ტყეში ხბოს, ან ცხვარს. შეიძლება ბევრმა მითხრას, რა განიწმატებს, თუ კაი ბიჭი ხარ, ისწავლე და ეწიე შენს საწადელს. ეს ადვილათ სათქმელია, მაგრამ ასასრულებლათ ძნელია. რა ქნას ახალგაზრდამ, თუ გზას არ მისცემთ, თუ მოუსპობთ საშუალებას განათლებისას! ახალგაზრდობა უსაშუალებო, უთანაგრძნობო საზოგადოებისაგან დაიღუპება შარშანდელი თოვლივით. აკი ანგრეც არის! კატებსავით აღრჩობენ და ვინ არის პატრონი!

16 იანვარი. შაფათი.

გუშინ წინ ხუთშათვათს წმ. ნინოს დღეობა¹⁹⁷, ანუ მისი მიძინება იყო. საქართველოს დედა ქალაქში ამისთანა გვამის დღეობას, როგორც იყო წმ. ნინოს მე მგონი დღესასწაულობდა მხოლოდ ორი შეკვეთის შეგირდები: სემინარიისა¹⁹⁸ და წმ. ნინოსი¹⁹⁹. ამითი იმის თქმა კი არ მინდა, ვითომც ბევრი დღესასწაულები გავმართოთ. არა მარტო ისა, რომ საქართველოს განმანათლებელს ისე გულგრილად ეკიდებიან, რომ მისი სახელის ხსენება მარტო ბოვშვებს მიუგდეს... ამითი ჩვენი უცხო სტუმრები მარტო ნინოს სახელს კი არ აუპატიურებენ, არამედ იმ ხალხსაც, რომელსაც ისა სწამს. მაგრამ ტყვეს ჩივილს ვინ კითხამსო.

ჩვეულებისამებრ ჩვენ სემინარიისტები წირვაზედ ვიყავით. არ ვიცი რათა, და განუშორებლივ ეს ანდაზები თავს არ მანებებდნენ: “გარეული კატა შინაურს აგდებდაო”, “ტილი რომ ფეხზედ დაისვა თავზედ აგაცოცდებაო”, “ბავშვს გაუცინე უკანას გიჩვენებსო” და სხვა ამგვარები. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დღეს მხოლოდ ამ დღეს მოგვცეს ნება ქართულათ წირვისა და ისიც მე მგონი მიტომ, რომ ბოლოს დასცინონ ჩვენს უხეირობას. რა საშინელი პაროდია და ირონია იყო ეგ ქართული წირვა, ვერ წამომიდგენია! სირცხვილით ვიწოდით ყველა ქართველები, სულ ჭირის ოფლს გვასხამდა სირცხვილისაგან! რისგან, მკითხამთ გაკვირვებულნი. მისგან, რომ ქართულ წირვაში ქართული აღარა იყო-რა. გალობა გეგონებოდა ბაყაყების ჯღავილათ და კითხვა ვირის ღრიალათ. ზოგიერთნი იფიქრებენ, რომ რუსები ეწიენ თავიანთ საწადელს - ქართველების გაქრობას, იმიტომ, რომ ქართულათ ვეღარა მოუხერხებიათ რა. ნელ-ნელა დაიწყეს მაგ ვაჟბატონებმა და ლამის ბოლო მოულონ საქართველოს. ჯერ მოგვისპეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მერმე ჩვენი სიმდიდრე გადიყვანეს თავიანთ ხელში და ახლა გაუსვეს ხელი ერთათ ერთს ძვირფას საუნჯეს – ენას. ნუ გგონიათ ბატონებო, რომ გააქროთ ჩვენი ენა. ამით მხოლოდ ჩამოაგდებთ ნაციონალურ სიმძლავრეს, რაიცა უკვე ჩამოაგდებულიც გახლამს. ჩვენსა და თქვენს შორის გაწყდა ყოველი ბეწვი. ბოროტს ბოროტებას მიაგებენ და დღეს

ჩვენ ახალგაზრდობამ გადავწყვიტეთ გადგიხადოთ როდისმე რითაც კი შეიძლება ეს ჩვენი გაუპატიურება.

22 იანვარი. 1882 წ. პარასკევი.

იმათ, ვისიც ხელშია ჩვენი ბედ-იღბალი, რათ არ უნდათ, რომ ჩვენ მაღალი განათლება მივიღოთ? რა უღმერთობაა, რომ ერთი ღვდლისა არ იყვეს, თათრის, ურიის, ფინნის, სომებს, უსჯულოს ჩინოვნიკების და აზნაურების შვილებს კი აქვთ უფლება მაღალი განათლების მიღებისა, და ჩვენი მართლმადიდებელი ღვდლის შვილი კი მოკლებულია ამ ღვთაების მანნის მიღებას?! მე თვითონაც ვერ წარმომიდგენია, რომ ამისთანა გულქვავები იყვნენ ჩვენი მოთავენი! მაგრამ აქ რა არის საკვირველი! მათი პირდაპირი სარგებლობა, პირდაპირი ინტერესები მოითხოვენ, რომ მათნი ქვეშევრდომნი ხეპრეები იყვნენ. მოგეხსენებათ, რომ თევზის ბლომად დასაჭრათ წყალს ავამღვრევთ ხოლმე და ზოგჯერ კაკლის ნაჭასაც ჩავყრით ხოლმე, რომ თევზებს თვალი დაეწვათ, ვეღარ დაგვინახავენ და უფრო ბლომათ დავიჭროთ. მართლაც და ეს კლასსიკური ენები თუ ღმერთი გწამთ კაკლის ნაჭაზე უფრო ძლიერ არა გვწვამენ თვალებსა! ეგ კურთხეული წამალი ისრე აფშრუტებენ ახალგაზრდებს, რომ არამც თუ თვალით, გონებითაც ვერსა ხედავდნენ. ეს ისეთი მიქსტურა მოუგონიათ, რომ გენიას ტოლსტოისას და მისის ჯიშის ოსტატებს ამაზედ მწარე ჯერ არა მოუგონებია რა. მაშ პროგრესი და წარმატება არ უნდა გვეტყობოდეს! ან რა საჭიროა ნამდვილი განათლება? მაშინ ხომ განვაამპარტავდებით და აღარ მოვინდომებთ რომ სხვადასხვა გულში ჩამხედველები ჩვენზედ უფლევდენ და მაშინ რაღა ეშველებათ! ცუდი საქმე მოუათ! საძაგელი პირობები ახალგაზრდობის განათლებაში დღეს ახალი არ გახლამს, მხოლოდ ეხლა პოგვამდისინ მიახწია. გადაავლეთ თვალი რუსეთში განათლების ისტორიას და მთლათ დამიჯერებთ ზემო ნათქვამს. მეათე-დან-მეცამეტე საუკუნემდინ ბერძნული პალკი და პატერიკების²⁰⁰ მეტი არა ყოფილა რა; შემდეგში მონგოლებმა რუსებს უძღვნეს თავისი მაღალ-ხარისხოვანი განათლება თავიანთის განუშორებელის წკეპლებით, ბატოგებით²⁰¹, როგორც მოგვითხრობს

კოსტომაროვი: მეთხუთმეტი საუკუნიდგან ბურთი და მოედანი დაიჭირა დასავლეთ ევროპის სხოლასტიკამ და შემდეგ ფრან-ცუზების მახინჯაურმა მიბაძვამ. ათასში ერთხელ დევნილი განათლება, როგორც სამოც წლებში, ბრთებს ისხამდა, მაგრამ მექათმეები მარდათ აკვეცდნენ ფრთებს, რომ რა არის შორს არ გაფრენილიყო. ამ საუკუნეში ახალი საშუალება მოიგონეს, ეს საშუალება უურნალ-გაზეთების ალაგმა. დღეს უცხუნეს მოსკოველეგრაფს²⁰², რადგანაც იმან თქვა, რომ ყოველ კაცს თავისუფლათ შეეძლოს თავისი აზრები გამოთქმაო. ვიშ, რა მომინდომა! არა ნაკლებათ გოლოსი²⁰³ სწუხდა გუშინ წინა ძალიან ცუდიაო გაზეთის შეჩერებაო, გამომცემლებსაც და მკითხველ საზოგადოებასაც გულს უხშამსო. დარწმუნებული გახლავარ, რომ თქვენ ბატონო რედაკტორებო და თანამშრომლებო კარგათ იგრძნობდით მაგ გულის შენუხებას და გულს შემოყრას, რადგანაც ექვსი თვე ლაგამი გედოთ პირში! რაზედაც უნდა მებაასნა, მას ძალიან დავშორდი. საქმე იმაშია, რომ გუშინ ერთმა შეგირდმა საიდლანაც პროგრამმა 1882 წლისა, მაშასადამე ძრიელ ახალი, მოიტანა, რომელშიც სწერია, ვითომც სემენარისტებს უნივერსიტეტში შესვლის ნება ეძლევათო. საწყლებს სიხარულით აღარ დაძინებიათ! მე კიდენ აი რას გეტყვით ჩემო მეგობრებო, სხვა გზივ ვიშრომოთ, თორემ изъ Назарета ничего доброго не выйдетъ და მგლისგან კრავი არ იშვის.

23 თებერვალი. 1882 წ. სამშაფათი. დიდ-მარხვა.

ერთხელ ერთი ჩემი ამხანაგი ამიხირდა, რომ ავტობიოგრაფია უფრო ღირსშესანიშნავია, სანამ ბიოგრაფია, რადგან ყოველ კაცმა თავისი თავი უკეთ იცის, მინამ ვინმე სხვამ და მაშასადამე თავის ცხოვრებას, გულის ვითარებას, აღზრდას და განათლების მიღებას უფრო კარგათ ასწერს, ვინემ სხვაო. მაშინ ეს მჯეროდა და ეხლა სრულებით აღარა. კაცს თავისი თავისა ძრიენ ცოტა ესმის. მე სხვის ცხოვრება ათასი საშუალებით შემიძლიან შევისწავლო. ასე გაშინჯეთ სიარულსაც, თვალებსაც, მიხვრა-მოხვრასაც, ტანსაცმელსაც კი ექნებათ მნიშვნელობა: სიტყვა-პასუხს, ჭკუის ვითარებას, ნაწარმოებს ხომ ბევრი ჩი-

ჩინი აღარ უნდა დიდი მნიშვნელობა აქვთ. დარწმუნებული ვარ თუ ვინმე მიყვარს, ან თუ ძრიენ პატივს ვსცემ, შემიძლიან მის სულში ჩავძვრე. მაგრამ ჩემის თავის ისე ძირეულად გაჩხრევა რომ არ შემიძლიან. მაგ. პატარა რომ ვიყავი, გადაწყვეტილი მქონდა ჩემი სრული, უტყუარი, მიუდგომელი ავტობიოგრაფია დამეწერა, რომ ქვეყანას დაწვრილებით სცოდნოდა ჩემი ავლადიდება. აბა ერთი კაცმა იკითხოს: რა წითელი კაკა ვიყავი, რომ საქვეყნოდ ვხდიდი ჩემს ცხოვრებას? ვერ გამიგია. ვისმესთვის რომ მეთქვა, შეიძლება მას როგორმე გაეგო, ან კიდენ ესა: წრეულ დღიურში ძრიენ ცოტა ვწერე. რითი ავხსნა? არ ვიცი. შეიძლება მისთვინ, რომ სამი თვე გიმნაზიისთვინ²⁰⁴ ვემზადე და აღარ მეცალა; შეიძლება მისთვინ, რომ ცოტა არ იყოს გავთილოსოფოს-დი და მაღლიდგან ვუცქერი დღიურში წერას, ერთის სიტყვით არ ვიცი ნამდვილი მიზეზი. ჩემი გულითადი ნატვრა: სულ სხვას უყურო, უსმინო, თვალი ვადევნო და მე კი არ მალაპარაკა. ამ ნაირათ მე წმინდათ ბედნიერი ვარ ხოლმე, მაგრამ საუბედუროდ ზოგჯერ ვერ ვითმენ და ბევრი მომივა ხოლმე. აი თუნდ კვირას, ანტონს ლიტერატურული საღამო ქონდა და მეც იქ ვიყავი. მივჯექ კუთხეში და სუყველას ვადევნებდი და ვათვალიერებდი ქალიან-კაცამდინ, ტანსაცმლიდან-ლაპარაკამდისინ. მე სწორეთ ჩემს ქერქში ვიყავი. საუბედუროდ მე ჩქარა უნდა მოვსულიყავი აქ და ვერ დავესწარ ნამდვილ ბაასს. საზოგადოდ ვიტყვი, რომ შეყრილიყვნენ პატრიოტული პრინციპების საქადაგებლათ. კარგი და პატიოსანი. ეხლა ყველას გვაწევს გულზედ. ქართველების ქალის და კაცის იქ ყოფნა კიდენ მეყურება, მაგრამ სონას რაღა უნდოდა? ჩვენ სომხებთან საერთო ვგონებ არა გევქნება რა. სონიჩკა, მგონია, ქართველობს. ბატონი ბრძანდება. ფუტკრებს ის ჩვეულება აქვთ, რომ ათას ყვავილებზედ მოაგროვებენ ტკბილ წვენს და შემდეგ სკაში მშვენიერ თაფლის პურს შექმნიან ხოლმე; შინაურმა მემიხოლვეებმაც ანგერ იციან, მთელი სახელმწიფოს კუთხეებიდან შეაგროვებენ პატარ-პატარა ცნობებს და ლაზათიან სტატიას გამოკვანძამენ ხოლმე. მეც, რადგანაც დავიგვიანე და დროზედ არ ვწერდი ჩვენს ამბებს, ანგერ მოვიქცევი და ვეც-დები საყურადღებო მოვლენანი სემინარიისტების ცხოვრებაში არ გამოვტოვო. ერთხელ, კაი ხანია მას აქეთ, ჩვენი პატივცემული

ფილოსოფიის და პსიხოლოგიის მასწავლებელი ავათ გაგვიხდა, მის მაგივრად გაკვეთილზედ შემოვიდა ჭკუა თხელი რეკტორი. გაკვეთილი ლოკუზედ იყო. გვეშინოდა, ვაი თუ რეკტორმა ჩვენც და ლოკუიც გაგვილანძლოსო, რადგანაც ლოკუი ცოტა არ არის “იეზუიტებს”²⁰⁵ არ ეთანხმება. თუმცა ლოკუსაც უძლვნა ორიოდე მკვახე სიტყვა, მაინც ჩვენ გაგვაკვირვა მისმა ქცევამ. ფილოსოფოზზედ გაკვეთილი გვქონდა და ის საჭმელზედ გადაბძანდა. საქმე იმაშია, რომ ამას წინათ ჩვენ რამდენჯერმე მოვახდინეთ “ბუნტი” პურის გამოისობ. ხანდისხან სასაცილოდაც ვიქცევით ხოლმე. ერთხელ შეუთვალეთ ინსპექტორს: სარამ კაი პურს არ მოგვიტანთ, სტოლოვიიდან არსად წავალთო. ბევრი გვეხვენა ინსპექტორი, წადითო, სადილზედ კაი პური გექნებათო, მაგრამ არ ვქენით. იმდენს ხანს ვიყავით სტოლოვიაში, სარამ კაი პური არ მოგვიტანეს. სწორეთ ამნაირი ჩვენი საქციელი ქონდა სახეში რეკტორს და დაგვიწყო ლანძლვა. თქვენ რომ ფინთები არ იყვეთ, განა ან პურს ითხოვთ ან ამას წინათ თევზს რომ თხოულობდით განა შესაძლებელია? ისინი ცარიელ პურს ჭამდენ და ცივ წყალს სვამდენ, მაგრამ წითლათ ღაულაჟი გაქონდათ, თქვენ კი დაყვითლებული ხართ უბედურად. ან ტანისამოსს რათ თხოულობთ? მე აკადემიაშიაც დაგლევილი სერთუკი მეცვა. სრულებითაც საჭირო არ არის, რომ ცოდვიანი სხეული ძვირფასეულობით შეიმოსოს. ამ სიტყვებმა ყველანი გაგვაკვირვეს. ეს ოჯახდაქცეულები ბერძნულ-ლათინურით გვხოცამენ და ცარიელ პურზედ და დაგლევილ ტანისამოსში ხომ სულ ამოვწყდით! საკვირველ არიან უფალო საქმენი შენი! ერთხელ გვითხრა კიდევაც, დამპალი თევზი შეგირდებისთვინ მარგებელიაო. დასაჯერებლად ძნელია, მაგრამ ნამდვილი სიმართლეა. კარგი განწყობილება შეგირდებსა და უმფროსს შორის მაშინ იქნება, როდესაც ერთი ერთმანეთი უყვართ. ჩვენ რეკტორს კიდე საზოგადოდ სუყველა მასწავლებლებს ჭირით ვეჯავრებით ჩვენ ქართველები, ან თუ ღმერთი გწამთ, საიდან ვეყვარებით მაგათ ცხრა მთის იქიდგან მოთრეულებს? რა კავშირი აქვთ მაგათ ჩვენთანა? არაფერი. მომეტებულად გაიძვერაობაში ყველას რეკტორმა²⁰⁶ გადააჭარბა. წრევანდელ წელიწად იმერლები აღარ გაახარა გაბრიელის²⁰⁷ სიძულვილის გამო ეგ და ყრუ არქიელი, არა ნაკლები იეზუიტი,

ისე უშლიან საწყალს მოხუცს პრელატს²⁰⁸ სემენარიის გახსნას ათასნაირი დანოსებით, რომ ავაზაკიც და თვით წყეული იუდაც არ ჩაიდენდა მაგას. ოცამდისინ მეტი იმერელი გარეკა პირველი კლასიდან და არ მისცა ბინა და ახლა ცდილობს მაღალ კლასებშიც შეათხელოს მათი რიცხვი. ამ წინაზედ მოუდო ხრიკი ერასტის გაკვეთილზედ იცინოდიო და საწყალი კინაღამ გამორიცხეს, თუ ორიოდე არ მიშველებოდა და ეხლა ის არის «подъ надзоромъ». რადგანაც ჩვენ მთავრობას ასე ძრიელ ვძულვართ, ამიტომაც მას ჰყავს მთელი დასტა ჯაშუშებისა, რომელნიც უზიდავენ მათ ათასნაირ ცნობებს, თუ რას ვლაპარაკობთ და რას ვფიქრობთ.

თუ რა საზიზღარია და რა დამღუპველი ეს ჯაშუშობა შეგირდებისთვის, ამას განმარტება აღარ სჭირია. ვინუგეშებ მითი, რომ ჯაშუშებათ სულ მთლად რუსები და ბერძნები არიან, და ჩვენ ქართველები არ ვერევით მაგ წამპილწველ საქციელში. რეკტორს უნდოდა რაღაც ანტიქართული პარტია შეედგინა, და ამ მიზნისთვის აირჩია რუსები და ბერძნები ერთის ჩემის ამხანაგის ბერძნის თაოსნობით და სუყველა ჯაშუშებათ კი გადააქცია. შეგირდობაც რასაკვირველია მათ შესაფერათ ექცევა უფროსებს. არაფერი გავლენა არა აქვთ მათ ჩვენზედ და ყოველი ჩვენგანი ცდილობს რითიმე აწყენინოს რომელსამე მათგანს და იმ ნაირადაც, რომ თვითონაც ძრიელად არ დაისაჯოს. მაგ. წრეულ, რამდენი აღრეულობა მოხდა შეგირდებში! მესამელებმა ისე გააწინმატეს ბერძნულის მასწავლებელი გრიაზნი, რომ მხეცივით თურმე ღრიალებდა. პატოცკის, სამღვრთო წერილის მასწავლებელს ისე გაუხადეს საქმე, რომ ჭლექში ჩავარდა, ისტორიის მასწავლებელს სამ დაბალ კლასში იმდენი უყვეს დაცინვით უცოდინარობაში და გაუგონრობით, რომ კინაღამ თავი დაანება. მესამელებმა ტატიევს ქართულიდან რუსულად თარგმნა დააშლევინეს. და სხვა ამ-გვარი. ყველა რომ ჩამოვთვალო, აქ არ დამეტევა. ამ ნაირმა ქცევამ ერთი შედეგი მოიტანა – ნაციონალური გაღვიძება შეგირდებში. ეს კანონიერი გაღვიძება, როგორც ანტონმა მითხრა, ისეც მოხდებოდა უმაგათოდ, მაგრამ მაგათ ძალიან მოასწრაფეს. დავაარსეთ ქართული უურნალი²⁰⁹, რომელშიაც სულ პატრიოტული სტატიებია ან ისეთი სიძულვილი რუსებისადმი, რომ მომეტებული აღარ შეიძლება. მეც ჩემს სტატიაში არაფერი დავაკელი

მაგ ვაჟბატონებს. მუდამ წელიწადს ქართული წარმოდგენები გვაქვს ხოლმე გამართული და ასე გაშინჯეთ წელს ერთი ახალი ორიგინალური შეგირდის თხზულება პიესაც გვქონდა. გუშინ რაფაელის²¹⁰ ლექციაზე უნდა წავსულიყათ. მარტო ოცს გვქონდა ნება წასვლისა და უნდა გეყურებინათ რა ვაი ვაგლახი იყო არა მე ჩამწერეთ, არა მეო. თითქმის ყოველ კლასში ქართული უურნალია და გაზეთებიც ყველა გვაქვს. წიგნებსაც ყველა კლასი ცალკალკე ყიდულობენ. სუსკელა ამას კაი ევროპული უურნალები და ზორბა წიგნები რომ დაუმატოთ, კარგი მაშინ იქნება!..

28 თებ.

„დღიური“ ერთი სემენარიელისა.²¹¹

1882 წელსა 4 მაისსა.

1882 წ. 4 მაისი. სამშაფათი.

ხმები არის ქალაქში, ვითომც ჩვენი ერთათ-ერთი გაზეთი დროება²¹² უფულობის გამო უნდა დაიხუროსო. ეს ამბავი ისე მაღელვებს, მირევს გულ-ღვიძლს, რომ სიბრაზით არ ვიცი, რა ვქნა! სისხლი ყელში მეჩრება, და სიბოროტე თვალებიდგან ცხადათ გამოსჭვივის. ან როგორ არ მოუვიდეს კაცს სიბრაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში ისე შეგვავიწროეს, რომ ერთს ჩანჩურა გაზეთს ვერ უხეირნია! შური, სისხლი და ხანჯალი მაგათ! მაგის მეტს არას ვინატრი ჩემს სიცოცხლეში იმათვინ, ვინც ამ საძაგელ მდგომარეობაში ჩაგვყარა ჩვენ. ამ ფიქრებთან განუშორებლივ მდევნის მშვენიერი, წმინდა, სპეტაკი და მამაცობის გამომხატველი სახე პოლიაკი ჩაიკოვსკისა²¹³. იცით ვინ არის ეს პოლიაკი? ეს გახლავს საშინელი პოლშელი პატრიოტი, რომელიც დაუცხრომლათ ცდილობდა თავის ქვეყნის, პოლშის აღდგენას. რამტელი ეხეტიალა, ეთრია მთელს ევროპაში, რომ მეგობრები მოეპოვნა პოლშისთვინ და მტარვალთ ხელიდგან დაეხსნა თავისი ტურფა ქვეყანა. რამდენი სწერა სალიკ-პაშის²¹⁴ სახელობით თავის მტრების წინააღმდეგ და ზოგჯერ ბედიც ულიმებდა, მაგრამ მუხთალმა მიზნამდისინ ვერ მიაღწევინა! საცოდავმა ამ შრომაში შეალია თავისი ფიზიკური, ზნეობითი და გონიერითი ძალა და ეხლა მოხუცი ემორჩილება მუხთალ ბედს და გულის ტანჯვით უყურებს თავის მამულის აოხრებას. აკურთხოს უფალმა, ხალხის გმირო, შენი საქმენი და მექენ მე წინ-გზამავალ ვარსკვლავათ. ოცნებები ანუ ფანტასია შორს მიტაცებენ და არ ვიცი საბედნიეროა ეს ჩემთვის, თუ საუბედურო. მიზეზი მათი გაძლიერებისა ირაკლი ბატონის შვილის სიკვდილია. ღმერთო, როგორც ამ შვიდი წლის წინათ გულმხურვალედ გეხვეწებოდი, დიდი, გამოჩენილი კაცი გამხადეო, ახლაც ისე გეხვეწები, ხელი მომიმართე.

9 მაისი. კვირა.

ძველ დროში, ანუ სწორეთ რომ ვთქვათ საშუალო საუკუნოებში საფრანგეთში და გერმანიაში მშვენიერი ჩვეულება იყო, მაისის თვეში შეკრებილიყვნენ სახელმწიფო წარმომადგენელ-

ნი და ებჭოთ საზოგადო საჭიროებაზედ. ამასვე ვხედამ ეხლაც ჩვენში, ცოტაოდენი გარჩევით. მაშინ დეპუტატები იკრიბებოდნენ გაშლილ მწვანე მინდორზედ და ეხლა კი კლუბებში, სადაც ცუდის ჰაერისაგან ბევრს სული ეგუდება; მაშინ კრებაში თავსმჯდომარეობდა თვით მეფე (კოროლი) და ეხლა კი უბრალო ამორჩეული თავადის შვილი, ანუ აზნაური; მაშინდელ კრების გარდანყვეტილებას კანონის ძალა ქონდა იმ წამსვე და ეხლანდელი გადაწყვეტილი მუხლები შეიძლება არც კი დაამტკიცოს უმაღლესმა მთავრობამ; მაშინ კრებაში იყვნენ თავად-აზნაურების (რაინდების) გარდა სამღვდელოებაც და ეხლა კი მარტო ერთი კეთილშობილი წოდება. იმ კრებებს ძველათ ეძახდნენ “მაისის შეკრებილებას ანუ მაისის მინდვრებს (Майскія собранія, майскія полія). ეს პატარა შედარება და ძველის ამბის მოგონება გამოიწვია აწინდელმა ჩვენმა თავად-აზნაურობის კრებამ. ბევრი კარგი საიმედო და მასთანავე ბევრი მწარე ფიქრებიც აღმიგზნო გულში ამ კრებამ. აი, საქმე რაშია: ჩვენი თავად-აზნაურობა ამ ბოლოს დროს საშინლათ დაეცა ფიზიკურათ, მორალურათ, მატერიალურათ და პოლიტიკურათ. გაუფერულდა და მიეცა საშინელს სილატაკეს, დაწვრილმანდა და გაცარიაკლდა უწინ კი ასე არ იყო. სარამ საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება ჰქონდა და თავად-აზნაურობა ერთს საუკეთესო წოდებას, ანუ ელემენტს წარმოადგენდა საქართველოს ერში, თუმცა ნაკლულევანებით და ბევრის საძაგლობითაც გარემოცული იყო ეს წოდება (ამაზე როდისმე შემდეგ), მაგრამ მოწინავე რედუტს²¹⁵ საქართველოსას კი შეადგენდა. მის ბატონის და გლეხი-ყმის შორის არასოდეს ორგანიული კავშირი არ შეწყვეტილა, როგორც შესწყდა ყოველივე კავშირი ეხლა რუსის ინტელლიგენტ-პომეშჩიკის და მონა მუჟიკის შორის. თუ რა დამღუპველია ეს ბოლო გარემოება, ყველასათვინ ცხადია. იმას ვამბობ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა ცოტათ თუ ბევრად მეცხრამეტე საუკუნემდინ ხეირიანი იყო. მაგ დროდან კი დატრიალდა მის ბედის ჩალხი უკულმა და ეგ უკულმა პრონიალი დღესაც არ შეჩერებულა. რა არის მიზეზი? მიზეზი პოლიტიკურის თავისუფლების დაკარგვა და რუსეთის გამრყვნელი პოლიტიკა. ღმერთო, საშინელია მაგათი პოლიტიკის სიტყვით გამოხატვა! მეთექვსმეტე საუკუნიდან

შემოგვიჩნდნენ და რა საშუალება არ იხმარეს, ჩვენ გასაქრობათ! მოტყუება, გაიძვერაობა, ქრთამი, ალერსი, უკადრისობა და როგორაც მაგის შედეგი ახლა.

აგვება თვალი და მტრებს მოყვრებიდან ვეღარ ვარჩევდით. ჩვენი მამული მაგათ ხელში გადავიდა, მშვენიერი ენა ქრება და ყურს კი არ ვიბერტყდით. იქამდისინ აეხვათ თვალები ჩვენ ზოგიერთ თავად-აზნაურებს, რომ სირცხვილად მიაჩნდათ ქართულად ლაპარაკი, სმა, ჭამა და ჩაცმა-დახურვა და შვილებსაც ენგრე დაუწყეს ზდა. ამ ბოლოს დროს კი ცოტათი ყურები გაიბერტყეს და აშკარად დაინახეს, რომ მაგნაირი წყობილება და მათი აგეთი ყობა ბოლოს რაც დაღუპამს და რაღაც საცოდავი მამულები დარჩათ ისინიც ლიპიან ასწვატურიანცების ხელში გადავა და პრიკაზის ვალი ერთი ათად იმატებს. ვამბობ ამ ბოლოს დროს მიხვდნენ მეთქი და ათასი მხრიდგან ისმის, რომ ამ და ამ კრებამ თავად-აზნაურთა გადაწყვიტა ქართულის ენის შემოლება შკოლებში, ერობათ, უნივერსიტეტი და სხვა მრავალი. ძალიან ფაცი-ფუცია ხოლმე, რომ კარგი წინამძლოლები აირჩიონ და არა ისეთი, რომელთაც ვენზელების²¹⁶ თხოვნის მეტი არა შეუძლიანთ რა და ან კიდევ ავაზაკების პატივების გამოთხოვა. ერთის სიტყვით ჩვენი თავად-აზნაურობა სასიამოვნო გზას დაადგა ეს სასიამოვნო მხარე. აბა ახლა ის ვნახოთ თუ რაში მდგომარეობს სამწუხარო მხარე. ყველასგან ცნობილია, რომ ამ ჩვენი უკიდურეს მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლიან ორ რამეს: პოლიტიკური დამოუკიდებლობის პოვებას და რაციონალ განათლებას. რადგანაც პირველის მოპოვება ეხლა ძალით, სანამ ბედი არ გავიღიმებს, შეუძლებელია, ამიტომაც მაგას ჯერ-ჯერობით თავს ვანებებთ დი პორი, დი времени. მეორე საშუალება – სწავლა განათლების აღორძინება და გავრცელება ჩვენს ერში. ამ ბოლო გზას დაადგა ჩვენი თ.აზნაურობაც. ეს ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მაგათ დაარსებულ შკოლებში მარტო თავად-აზნაურების შვილები იქნებიან მიღებულნი და სხვა წოდებები ირიცხებიან იქიდგან. ამას ძალიან ცუდი შედეგი ექმნება. ყველაზედ პირველი ის რომ, ის ხალხი არ არის ბედნიერი, სადაც მარტო ერთი წოდება არის კეთილდღეობაში და სხვანი კი უკიდურებაში იმყოფებიან. თუ ჩვენი თავად-აზნაურის შვილები

მიიღებენ კაი განათლებას და გლეხები არა, პირველებს ექმნებათ ყველა საშუალება მოიპოვონ სიმდიდრე და დაასხდნენ კისერზედ გაუნათლებელ ხალხს. მაშინ მათს, ე.ი. ინტელიგენციის და გაუნათლებელ ხალხს შორის ისეთივე გაუვალი ხევი გაჩნდება, როგორც რუსეთში. ეს სრულებით სასურველი არ არის. წინაპრები სხვანაირათ იყვნენ. ჭკუის გარიზონტით ერთიერთმანეთზე მაღლა არ იდგნენ და იმიტომ კმაყოფილიც იყვნენ ხოლმე. გლეხი თითქოს ბატონის უპატიურებას ადვილათ იტანდა.

დღიურიდან.²¹⁷ ალექსანდრე ყიფშიძე

სწორეთ რომ საკვირველი ამბები წავიკითხე დღეს გაზეთ „დროებაში.“ ვიღაც მეგრელი „დროების“ რედაკტორს ურჩევს დაარსოს ცალკე უურნალი მეგრულ-ქართული სიტყვებისა და ფრაზებისთვინ და აიმედებს პატიოსანი სიტყვით ბ. რედაკტორს, რომ მასალა არ შემოგელევათო, რადგან რამდენი სიტყვა და ფრაზა ქართულ ენაში მოიპოვება თვით მოსეს დაბადებიდან დღევანდლამდე, იგინივე სრულებით და შეუცვლელად მეგრულ ენაშიაც არამც თუ მოიპოვებიანო, სწერს ნაქალაქევიდან პატივ-ცემული იკსი, არამედ ნამდვილათაც სუფევსო. ამისათვის ბ. რედაკტორო, თქვენ მომავალ უურნალს თავის დღეში არც მასალა შემოაკლდება, არც თანამშრომლები, რაიც ხრონიკულად დაემართება ხოლმე ჩვენ პერიოდულ გამოცემათა, რადგან ყოველი მეგრელი, ძუძუ მწოვარადან დაწყებული ჭალარით გათეთრებულ მოხუცამდის, ბრწყინვალე თავადიდან დაწყებული უკანასკნელ მენახირემდინ თქვენი ნამდვილი და სამუდამო უსასყიდლო თანამშრომელი გახდებაო. ეს კიდევ არაფერი; ეს ამბავი გაზეთის მეორე გვერდზეა მოქცეული. ეს ნარცხია მასთან, რაც გაზეთის პირველ გვერდზეა მოქცეული. აბა თუ ბიჭები ხართ წაიკითხავთ მაგ წერილს ბოლოში მრავალი წერტილებით დამშვენებულს და თვალებიდან სიბრაზის ცრემლები არ გადმოქცვივათ! მე კი ეს დამემართა და სხვისა არ ვიცი, რა მოუვა. შეიძლება ეს მითი აიხსნება, რომ მე ან ქალაჩუნა ვარ და სხვას მაგარი კირივით გული აქვს. არა, ქალები მაგისთანა ამბების კითხვის დროს არა ტირიან (შეიძლება ამ შემთხვევაში ჩვენი ქალები სხვებისაგან

გაირჩევიან, რაიცა მჯერა). არც ჩვილი გული მაქვს. გული საკმარისად გამიმაგრა აწინდელმა მუხთალი ბედის დენამ, მაგრამ რას იზამ! თვით რკინასაც ადნობს სანთლის ქონივით ელეკტრონის ნაკადული. ღმერთო რეები ხდება ჩემ პატარა ტანჯულ სამშობლოში! ნუ თუ უფალო, ცოდვანი მისნი აგრე მრავალნი არიან, რომ იგი შეასწარ ამ დღეს? ახი კია, რაც მოუვა! რატომ თავის ქერქში არ ჩერდებოდა, რა თავ წასული კაცივით ხტოდა და არა მკითხესაებ სხვას ეჩრებოდა! რაზე დაივიწყა, რომ დედის წინ მხტომ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან ტურა? რაზე დაივიწყა, რომ ცხოვრების ბრძოლაში ვეშაპი ყოველთვის გველანას ემტერება და თუ მოასწრებს, ერთის ყბის მოქნევით გადაყლაპავს? გველანა ყოველთვისინ უნდა ცდილობდეს ვეშაპის კბენას და არამედ მის კალთის ქვეშ სხვა მტრებისაგან თავის შეფარებას. მართალია, ზოგჯერ ვეშაპი ვერ მოინელებს ხოლმე გველანისთანა ცხოველებს თავის სტომაკში და ზოგჯერ, მაგალითები ყოფილა, ავადაც გამხდარა, მაგრამ ეს მცირედი ნუგეშია. მახსოვს, ერთხელ წავიკითხე პატარა წიგნი პ. მორდოვცოვისა: ისტორიული და პოლიტიკური მოძრაობა რუსეთის ხალხისა²¹⁸, სადაც არის მოთხობილი, თუ პუგაჩოვმა²¹⁹ როგორ აადინა ნაცარ-ტუტი თითქმის ხუთ რუსეთის გუბერნიას და “ბატონებს” როგორ ავლებდა სინსილას. ამ პატარა ბროშურის წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს, რომ რუსეთს პუგაჩოვის ხელით ეწვია განკითხვის დღეო. ისტორიული შეცდომებისთვინო. დიახ, ჩვენც შეცდომილებისთვინ გვეწვია განკიცხვის დღე. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რასა ვროშამ? რა დროს ან გოდებაა, ან კილვა! ფაკტი-ფაკტად რჩება. მას გასწორების მეტი არაფერი ეჭირვება. აქ ბევრი ბუნდად არის ნათქვამი. ბევრისგან დაუთავებელია აზრი, შეიძლება ვინმემ წაიკითხოს ეს წერილები და მის გამჭრიახობისთვინ მიმინდვია მისი გაგება რის თქმაც ვერ მოვახერხე. გული კი მეუბნება, რომ მიხვდებიანო....

ჩემი ფიქრები, ოცნებანი ამ წუთში, როდესაც ვსწერ საკუთარი სისხლით შეწებებულის მელანით ამ უთავბოლო სტრიქონებს, დაჰქრიან იქ, შორს, სადაც მდებარეობს ბერძნების კოლხიდა, ჩვენი პატარა საქართველო. სულ შეხუთული მომწყვდეული კავკასიონის კლდეებით. ცხადად ვხედამ, თითქოს თვალწინ

მიდგია ავტორი იმ მოწინავე წერილისა, როდესაც თავის კალამს აწერინებდა ბოლმითა და სიბრაზით სავსე სიტყვებს: ბევრი თქმა ნდომებია, მაგრამ ვერ მოუხერხებია. მის მაგივრად წერტილები დაუსხამს. მაგ ავტორს უნდოდა ეთქვა ბ.სმირნოვისთვინ პირში ძონძები უნდა ჩაგეჩრათო, სახე მოგეთუთხნათ საკუთრად ანაკრაპლიდან, ან აბანოებიდან მოტანილი ტლაპოთი, შეგესვათ უკულმა უკუდო ვირზედ, როგორც ყენი²²⁰ და ისრე გაგესეირნებინათ ზედ გოლოვინის²²¹ პროსპეკტზედ. წინ და უკან ვირს უნდა ქონოდა აკრული მისი რეფერატი. დიახ ამის თქმა უნდოდა ავტორს წერილისას, ეს კიდეც შეეფერებოდა ბ.სმირნოვს და ლირსიც იყო, მაგრამ ძალაუნებურად ზრდილობიანათ მოსვლია სიტყვა. ბ. წაბრძანდით, იქ იქადაგეთ, სადაც გასაბრიყვებლებს უფრო ბევრს იპოვითო.... (დედანშიაც წერტილებია).

მართლა რა ცხოველია ეს სმირნოვი? საიდან გაუჩნდა ეს ძალად მაცხონე გენიოსი ჩვენ ბედკრულ ქვეყანას? ბევრი ვიფიქრე მაზედ, თუ ვინ უნდა იყვეს ის სმირნოვი²²², მაგრამ ვერსა გავხდი. თუ ეს ცნობილი გეოგრაფი სმირნოვია, თბილისში რამ ჩაახეტა მეთქი, ან ჩასვლისთანავე ასე უზღელად როგორ იტიტინებდა გულშიც რომ ზდებოდა ეგ აზრები. გორში ერთი ლოთი ლათინური ენის მასწავლებელი მყავდა, გვარი სმირნოვი, რომელიც შეგირდებმა რამდენჯერმე მიტყიპეს. ვფიქრობდი, ახლა ჯაბრს ხომ არ ყრილობს მეთქი ჩვენზედ, რომ დაუინებით გაიძახის, ქართველები ერს კი არ წარმოადგენენ, თეთრი, შავი და წითელი ძაფებისაგან შემდგარი გორგალიაო, მაგრამ არა, ენაბლიტი სმირნოვი სად შესძლებდა რეფერატის წერას და მერმე მის დაცვას, თუნდა იგი მუხის ფუტუროსაებ ცარიელი იყვეს! ბოლოს მომხედა ღმერთმა და მოვიგონე ვინ არის ეგ ცხოველი! ეგ არც გორელი ლოთი მასწავლებელია და არც გამოჩენილი პეტერბურგელი გეოგრაფი. ეგ არის თქვენივე, თფილისელი ქვეწარმავალი.

ერთხელ, ჯერ ისევ ლურჯი თეთრის ზოლებით გერბიანი ქუდი მეხურა. ერთ კვირა დღეს მე და ჩემი ამხანაგი²²³, სომეხთაგანი, დაკარგული ცხვრებივით დავხეტიალობდით ალექსანდროვის ბაღში. ზარმაცად ვადგამდით ფეხებს და ლაპარაკს ვერც კი ვახერხებდით, ისე ცხელოდა. უცბად ჩემა მეგობარმა წამომიშინა მუჯლუგუნები და მიმახედა ერთი ხეივნისკენ ამ სიტყვე-